645
1984

ეროვნული
ბიბლიოთეკა



LSSN 0321-1509

# საქართველოს ქალი

3
1984

ეროვნული ბიბლიოთეკა



დ. იაკობაშვილის ფოტო

ნორჩი მოჭადრაკე სოფიკო ტერელაძე

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



# გილოცავთ 8 მარტს!

17.725

## პრობლემები, პრობლემები...

თ. ჭურაძე,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი პედიატრი.

# იმძლავროს ტრადიციამ

მე-20 საუკუნის მიწურულში, კულტურის და ეკონომიკის ჭეშმარიტი აყვავების ეპოქაში დღის წესრიგში დადგა ქართველი ერის გამრავლების უმნიშვნელოვანესი საკითხი. მონაცემები მეტად სავალალოა. დადგენილია, რომ უკანასკნელი სამი ათეული წლის მანძილზე ქართველ ერს ბუნებრივი ნამატი არა აქვს, პირიქით, იგი რიცხობრივად მცირდება. საგანგაშო მდგომარეობაა საქართველოს მაღალმთიან რაიონებში; აუნაზღაურებელი დანაკლისი გამოიწვია ყაზბეგის რაიონიდან, რაჭა-ლეჩხუმიდან, მთათუშეთიდან მოსახლეობის მასიურმა ჩამოსახლებამ ბარში. თავის დროზე გატარებული ამ არასწორი პოლიტიკის შედეგად დაცარიელდა ერის გამრავლების ძირითადი რაიონები. შეცდომის დაშვება ადვილია, გამოსწორება კი ძნელი. ზოგჯერ შეუძლებელიც. ჩვენი ერის სულიერი მამა, დიდი ილია ჭავჭავაძე სასტიკი წინააღმდეგი იყო მთიანი რაიონებიდან, კერძოდ რაჭიდან მოსახლეობის ბარში ჩამოსახლების. იგი მოუწოდებდა ადგილზე შეექმნათ მოსახლეობისათვის დაფუძნების პირობები.

შექმნილი საგანგაშო სიტუაცია დროზე შეაფასა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის [illegible]ლანდელმა ხელმძღვანე-



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობამ: ხალხი უბრუნდება მამა-პაპათა კერას. ცოცხლდება მივიწყებული სოფლები და რაიონები. იწყება ხევსურეთიდან და მთა-თუშეთიდან მესხეთ-ჯავახეთისაკენ გადანაცვლებაც.

ბევრს ვწერთ, ბევრს ვლაპარაკობთ, მაგრამ ქართული მრავალშვილიანი ოჯახები თითზე ჩამოსათვლელი გვაქვს. სად უნდა ვეძებოთ გამოსავალი, რა ვიღონოთ, საიდან დავიწყოთ?! — არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ დღეისათვის განსაკუთრებული დახმარება სოფელს სჭირდება. სამწუხაროდ, ახალგაზრდობა სოფელში აღარ ჩერდება და ხშირად ამას ობიექტური მიზეზებიც აქვს. რიგი სოფლები ჯერ კიდევ ღარიბია კულტმასიური და სპორტული ნაგებობებით, გზები მოუწესრიგებელია... ახალგაზრდობა ცდილობს სამუშაოდ ან საცხოვრებლად წავიდეს კეთილმოწყობილ ქალაქებსა და რაიონებში. ძირითად ოჯახს მოცილებულებს ახალი ოჯახის შექმნა უძნელდებათ.

კომუნისტური პარტიის და მთავრობის ბრძნული პოლიტიკის შედეგად თანდათანობით უმჯობესდება სოფლის პირობები, რომლებიც მომავალ წლებში კიდევ უფრო უკეთესი იქნება. რათქმა უნდა, ყოველივე ეს ხელს შეუწყობს სოფლის მოსახლეობის ადგილზე დარჩენას და გამრავლებას.

დღეისათვის ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების საქმეში. ბევრ სოფელში მოუწესრიგებელია ჩვილ ბავშვთა და ნეძუძურ ქალთა კვების საკითხები, ყველგან არ არის სეზონური ბაგა-ბაღები. კვლავ პრობლემად რჩება სასმელი წყლით მომარაგება და ჰიგიენური საშხაპეების მოწყობა. სოფლის მაღაზიებში არ არის ჩვილ ბავშვთათვის აუცილებელი ინვენტარი. იქნებ დაისვას საკითხი, მრავალშვილიანი ოჯახებისათვის მიწის ნაკვეთის მომატების შესახებ? სოფელი ერის გამრავლების უპირველესი კერა უნდა გახდეს. ასე იყო ოდითგანვე, ასე უნდა იყოს დღესაც. უამისოდ ქართველი ერის გამრავლებაზე ლაპარაკი შეუძლებელია.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ჩაის და თამბაქოს პლანტაციებში მომუშავე ქალების ჯანმრთელობის დაცვას. ხშირად უნდა ხდებოდეს მათი პროფილაქტიკა, მათი განიწვევა. გავხსნათ გამაჯანსაღებელი სანატორიუმები. მუშაობის პროცესში ჩავატაროთ სამედიცინო შემოწმება.

პრესამ, რადიომ, ტელევიზიამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს სოფლად მაცხოვრებელი ქალის პრობლემებს. მოაწყოს სპეციალური გადაცემები მრავალშვილიანი დედებისათვის. ეს რაც შეეხება სოფელს, მაგრამ როგორღა გვაქვს საქმე ქალაქად? პირდაპირ უნდა ვაღიაროთ, — სავალალოდ! უმეტეს ოჯახებს ერთი ან ორი შვილი ჰყავს. იშვიათობას წარმოადგენს სამი და მეტი შვილი. ისმება კითხვა — რატომ, რამ განაპირობა ამ კეთილმოწყობილ ბინებში უშვილობა? — აბა სხვა რა შეიძლება ვუწოდოთ ერთ ან ორ შვილს — ვფიქრობთ, უპირველეს ყოვლისა, ქართველი ქალის ეროვნული მოვალეობის გრძნობის დაკნინებამ, სრულიად აუგებარმა გულგრილობამ და პასიურობამ. რა დასამალია და ჩვენი ქალებისა და ქალიშვილების გარკვეულმა ნაწილმა ხელი მიჰყო მაგარ სასმელებსა და თამბაქოს, რაც ხშირად უშვილობასა და რიგ მანკებს იწვევს. სამწუხაროდ, გახშირდა ვაჟების იმპოტენციის შემთხვევებიც. სტატისტიკური მონაცემებით, უკანასკნელ წლებში გამრავლდა ახალშეუღლებულების განქორწინების შემთხვევები, რის ერთერთ მიზეზადაც უნდა ჩაითვალოს სქესობრივი პასიურობა. ოჯახის ნგრევის მიზეზი ხშირად ანგარებით შეუღლებაც არის. ჩემი აზრით აქ ალბათ ყველა პირობა ცალ-ცალკე თავის მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მტკიცე მრავალშვილიანი ოჯახის შესაქმნელად აუცილებელია ქალ-ვაჟის ურთიერთპატივისცემა და სიყვარული!

ყოველივე ეს მეტად დამაფიქრებელია: უთუოდ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ახალგაზრდობასთან (სქესობრივი მომწიფების პერიოდში), აღმზრდელობით მუშაობას. აუცილებელია სკოლის პროგრამაში (უფროსი ასაკის მოსწავლეებისათვის), გოგონებისა და ვაჟებისათვის ცალ-ცალკე შევიტანოთ ლექცია-საუბრები პირადი ჰიგიენის, ქალსა და ვაჟს შორის ურთიერთდამოკიდებულების, მრავალშვილიანობისა და სხვა საკითხებზე.

გახშირდა უშვილობის შემთხვევები, მეტწილად ესეც განქორწინების მიზეზი ხდება. რაშია საქმე? ჩვენ აქ არ შევჩერდებით ქალის ან ვაჟის ბიოლოგიურ დეფექტზე. ეს ცალკე მსჯელობის საგანია. რომელიც იწვევს ადამიანის არა მარტო გონებრივ გამოფიტვას და გადაგვარებას, არამედ უშვილობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც ხდება. სტატისტიკური მონაცემებით ყველაზე მეტ აბორტს ქართველი ქალები იკეთებენ, ამას კი ეროვნული ღალატის მეტს ვერაფერს ვუწოდებთ. მედიცინის ის მუშაკები, რომლებიც პირადი ანგარების მიზნით ამ სისაძაგლეს სჩადიან, უმკაცრესად უნდა დაისაჯონ! ასე გაგრძელება აღარ შეიძლება! იქნება იმ რაიონებსა და ქალაქებში, სადაც ბუნებრივი ნამატი წლების მანძილზე არა გვაქვს, საერთოდ (თუ ეს დედის სიცოცხლის საფრთხესთან არ არის დაკავშირებული) აიკრძალოს აბორტების გაკეთება! აბორტის ნება დაერთოს მხოლოდ იმ ქალებს, რომელთაც ჰყავთ ოთხი და მეტი შვილი. ჩემის აზრით ეს ქმედითი ღონისძიება იქნება, რომელიც უთუოდ თავის შედეგს გამოიღებს. მრავალშვილიანი ოჯახები უნდა უზრუნველვყოთ საბინაო პირობებით, ბინაზე რძის და მშრალი ნარევების მიტანით.

კატასტროფულად გახშირდა სკოლადამთავრებულების ან უფროსი ასაკის მოსწავლეების რეპეტიტორებთან მომზადება. ეს „მომზადება" ზღაპრულ თანხებს ყლაპავს. თუ ეს ასე გაგრძელდა, მართლაც შეუძლებელი იქნება სამი და მეტი შვილის ყოლა. ე. წ. „ეკონომიური" მიზეზი მშობლების გასამართლებლად მუდამ დარჩება. ნუთუ სკოლამ დაკარგა თავისი ფუნქცია და ბავშვებს სათანადო ცოდნას ვერ აძლევს?! ნუთუ ასე დაეცა საშუალო სკოლის მასწავლებელთა კვალიფიკაციის დონე? თუ ეს ძვირძო რეპეტიტორობა ზარმაცი, უნიჭო მოსწავლეების მშობლების მოგონილია? ვფიქრობთ, რომ მიზეზი ეს უკანასკნელია. თუ მოსწავლე სკოლაში სწავლის პერიოდში კეთილსინდისიერად ასრულებს მასწავლებლების დავალებას, მითითებას, იგი უკეთ ლად მომზადებული იქნება. უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად მომზადების პერიოდში კი მას კვლავ შეუძლია საკონსულტაციოდ თავის სკოლის მასწავლებლებს მიაკითხოს. ამ მოსაზრების საფუძველს ჩემი ყოფილი მასწავლებლები მაძლევენ, რომლებიც ასე მრავლად იყვნენ.

ოჯახები, სადაც ასე უზომოდ ანებივრებენ დედისერთებს, ვერასოდეს იქნება მრავალშვილიანი.

აუცილებელია მრავალშვილიანობის პრობლემაზე მაღალიდეური მხატვრული ნაწარმოებების, ფილმების, პიესების შექმნა. ეს ჩვენი პატრიოტული და მოქალაქეობრივი მოვალეობაა.

მრავალშვილიან ოჯახში აღზრდილი ბავშვი შრომისმოყვარეა, ეჩვევა ყოველგვარი სიძნელეების დაძლევას, შთაგონებული აქვს კოლექტივისადმი, მშობლებისადმი, თავის სამშობლოსადმი დიდი სიყვარული. მრავალშვილიანობის დიდი ტრადიცია ოჯახის ყველა წევრს შთამომავლობით გადაეცემა. დაე, იმძლავროს ერის გამრავლების ამ ტრადიციამ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სოფელი უტოლდება ქალაქს

# მუხა კვლავ შრიალებს

მუხაესტატეში. იქ. სადაც ახლა ცოდნის ტაძარია აღმართული, ოდესღაც ტოტებგაშლილი მუხა მდგარა. მოხუცები მამა-პაპათა გადმოცემებს იმოწმებენ; მუხა სწორედ იქ შრიალებდა, ახლა რომ საშუალო სკოლის შენობა დგასო.

ერთ-ერთი ლეგენდა ირწმუნება: — ვინმე ესტატეს გურიაში მოპარული ბავშვები თურმე მუხასთან მიჰყავდა. აქ მისი შეპირებული თურქი ვაჭარი მოდიოდა. ბავშვების გამტაცებლებს ფულს ჩაუთვლიდა და ტყვე ყმაწვილები მიჰყავდა. ერთხელ, პირობისამებრ, ხსენებულ მუხასთან ესტატეს მეზობლის ბიჭუნა მოტყუებით მიუყვანია; მას კარგა ხანს უცდია ოსმალოსათვის. მუშტარს დაუგვიანია; ესტატეს მეტის დაცდა არ შეძლებია (მეზობლებს მასზე ეჭვი ჰქონდათ და მისი ავკაცობა გამომჟღავნდებოდა), ბავშვი მუხის ტოტზე მიუკრავს და ხეზე ხანჯლით ამოუკვეთავს: „ესტატე". ეს იმას ნიშნავდა, რომ ბავშვი მისი მოყვანილი იყო.

შინ დაბრუნებულ ესტატეს სამ დღეს ვერ მოუხერხებია მუხასთან მისვლა. მესამე დღეს რომ მისულა, ბავშვი თურმე ისევ იქ ყოფილა მიკრული, თურქი ვაჭარი არ მოსულიყო.

ბავშვმა ამღვრეული თვალით შეხედა ჯალათს და სულიც განუტევა. ბიჭუნას გატაცების ამბავი დიდხანს რჩებოდა საიდუმლოდ; ბოლოს. ზიარების დროს მღვდელთან თვითონ ესტატეს წამოსცდენია.

დღეს კი სოფელ მუხაესტატეს დიდ მუხასავით გაუშლია ტოტები და თავის საჩრდილობებში შემოუკრებია ალამბარა, აჭყვისთავი, ზენითი და წყავროკა — ხუთი სოფლის 2000 კომლი. 8050-ზე მეტი ადამიანი.

... ერთხელ. 1969 წლის გაზაფხულზე, სოფლის საბჭოს თავკაცებმა ახალგაზრდობა გვერდში ამოიყენეს და მუხაესტატეს სასოფლო საბჭოში შემავალი გზები და ხიდები, სოფლების მოედნები, წყაროს სათავეები, მდინარისა და მისი შენაკადების სანაპიროები შეამოწმეს... სწორედ მაშინ ითქვა: — აქაურობას მუხაესტატე ჰქვია. მუხებს კი კაცი თვალს ვერსად მოჰკრავსო;

შაბათობა გამოცხადდა გზების გასწვრივ, სოფლების მოედნებზე სწორედ მაშინ დაირგო 40Ս-მდე მუხა.

მუხაესტატელებს მუხის პირველი ნერგები უკაცრიელ ადგილებზე კი არ დაურგავთ, არამედ იქ, სადაც ყოველ დილით სკოლის ზარი წკრიალებს. აქ ხვდება ასობით მოზარდს პედაგოგებისა და აღმზრდელების დიდი და კეთილი კოლექტივი აჭარაში ცნობილი პედაგოგის, სოფლის დეპუტატის, სკოლის დირექტორის დავით მემარნის ხელმძღვანელობით.

მოზარდთა სწავლა-აღზრდისათვის აქ საუკეთესო პირობებია, ბავშვებს აქვთ ნათელი



ალამბრის ხედი



ლეილა ქათამაძე სხდომას ატარებს



სოფლის მომავალი

საკლასო ოთახები, კაბინეტ-ლაბორატორიები, სასწავლო-სადურგლო სახელოსნოები, სპორტული დარბაზები, პიონერთა ოთახი, ბიბლიოთეკა, სასადილო, სადაც კვება უფასოა. მოსწავლეებს საკლასო ნივთების შეძენა ადგილზეც შეუძლიათ საგანგებოდ მათთვის გახსნილ კიოსკში.

ყველა ეს სიკეთე 2000-მა კომლმა შრომითა და გარჯით მოიპოვა, — გვითხრა სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ლეილა ქათამაძემ. მან დაწვრილებით გაგვაცნო მიღწევები და თქვა, ვისაც გარჯა არ ეზარება, ჩვენთან ყველას ულხინსო. 1983 წელს საზოგადოებრივსა და კერძო სექტორებში ციტრუსების დამზადების გეგმა მუხაესტატელებმა გადაჭარბებით შეასრულეს. სოფლის მეურნეობის სხვა დარგებშიც არ შეგვირცხვენია თავიო. მეცხოველეობის ფერმისათვის მარტო ალამბრელებმა ასლან მახარაძემ და სულიკო ნაკაიძემ 22-24 ტონა საკვები დაამზადეს. ასეთნი კი ბევრნი არიან ამ სასოფლო საბჭოში. მუხაესტატელებს საკუთარ ნაკვეთზე, კოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობებში ძირითადად ჩაი, ციტრუსი და ხეხილი მოჰყავთ. ანაზღაურებაც კარგი აქვთ, თითოეული ოჯახის გამომუშავება წელიწადში საშუალოდ 5000 მანეთია.

ყველა ოჯახში ციმციმებს ცისფერი ეკრანი, ყველას აქვს ტელეფონი, გაზი, საკუთარი მანქანა.

სასოფლო საბჭოში შემავალ ხუთივე სოფელში შვიდი საბავშვო ბაღი და ხუთი საშუალო სკოლაა. კონდიდის დასახლებაში კი — ერთი რვაწლიანი სასწავლებელიც. ალამბარსა და მუხაესტატეში მეციტრუსეობის ორი საბჭოთა მეურნეობაა. ყოველ წელიწადს სკოლის 250 კურსდამთავრებული რჩება სოფლად, ბევრიც უმაღლეს სასწავლებელში აგრძელებს სწავლას. მათგან თითქმის ყველა უბრუნდება თავის კუთხეს. აქაური ჭაბუკები სამხედრო სავალდებულო სამსახურსაც დროზე იხდიან. სასოფლო საბჭოში დიდი ყურადღება ექცევა ახალგაზრდობის პატრიოტულ აღზრდას. მეფების დახმარებით ექვსივე სკოლის სასაუზმე-სასადილოებში მოსწავლეთა კვება უფასოა.

სასოფლო საბჭოში იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის სიტყვები გაიხსენეს: „...წესად უნდა გავიხადოთ ის, რომ ახალ გადაწყვეტილებებს ერთსა და იმავე საკითხზე მხოლოდ მაშინ ვიღებთ, როდესაც შესრულებულია წინანდელი გადაწყვეტილებები". ამ პრინციპებით მუშაობს სოფლის საბჭოს თავმჯდომარეც ენერგიული, გულითადი, ორგანიზებული ქალი, ლეილა ქათამაძე. ყოველ გადაწყვეტილებას რომ აქ დიდი ყურადღება ექცევა, ეს მთელ სოფელში იგრძნობოდა — მუხაესტატეს სკოლის პედკოლექტივშიც, მუხაესტატესა და ალამბრის კოლმეურნეობებშიც, სასოფლო საბჭოს საქმიანობაშიც, სოფლის მშრომელთა ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. დროზე სრულდება სახელმწიფო გეგმები; მუხაესტატელებმა მე-11 ხუთწლედის მე-3 წელსაც გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფო გეგმები და ნაკისრი ვალდებულებები.

აქაურმა ჩაის ფაბრიკამ პროდუქციის წარმოება 9,2 პროცენტით გაზარდა. გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. შესრულდა მარცვლეულის მოყვანის გეგმები. სახელმწიფოს 192 ათასი ცალი კვერცხი ჩაბარდა. შესრულდა ტუნგის, აბრეშუმის პარკის ჩაბარების გეგმები; ქობულეთის რაიონში, გარდა ციტრუსებისა, ყოველ ოჯახს 3-4 ძროხა, ღორი, უამრავი ფრინველი ჰყავს. მხოლოდ მუხაესტატეს მოსახლეობაში 2100 სული საქონელი ირიცხება. გაიზრდება კოლმეურნეთა საკუთრებაში არსებული პირუტყვის სულადობა. წარმატებით მიმდინარეობს კოოპერირების წესით პირუტყვის გამოზრდა.

მუხაესტატეს ცენტრში 700 ნომრიანი ავტომატური სატელეფონო სადგური აშენდა. მშრომლები არ ემდურიან სავაჭრო მომსახურებას. საბჭოში ხუთი ბიბლიოთეკა, ხუთი სასოფლო კლუბი, ერთი კულტურის სახლი მოქმედებს, გახსნილია ექვსი მაღაზია და ამდენივე სასადილო.

მრავლდება ოჯახები, იზრდება სოფლები. ამასთან დაკავშირებით ყურადღებით ეკიდებიან მშრომელთა ინტერესებს, მათს წინადადებებს, იღებენ სათანადო გადაწყვეტილებებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მიმდინარეობაზე, ინდივიდუალურ ბინათმშენებლობისათვის სახელმწიფოს სესხის გაცემაზე, მრავალშვილიანი დედებისადმი დახმარებაზე (საბჭოში სულ 32 მრავალშვილიანი დედა ცხოვრობს).

...ფრთები ლაღად გაშალა აქაური მშრომელი კაცის ოცნებამ. შეიცვალა მუხაესტატე. სასოფლო საბჭოს ხუთ სოფელში 3 ექიმი და 188 მასწავლებელი მუშაობს, საბჭოს 11 სოციალისტური შრომის გმირი ჰყავს, რომელთა შორის 10 ქალია: მზევინარ ანანიძე, დარიკო ნოღაიდელი, შრომის დიდების ორდენის კავალერი მერი ქათამაძე, ლენინის ორდენოსანი, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის საბჭოს წევრი ნაზი მიქელაძე, ოქტომბრის რევოლუციის ორდენოსანი ნორა მეფარიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნუნუ ცერცვაძე, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ეთერ ძიძიგური, აგრეთვე სასოფლო საბჭოს 75 დეპუტატი; მათ შორის არიან გმირი დედები თუთია შაინიძე და ფადიმე გოლიაძე.

როცა სოფლის მოასფალტებულ გზებსა და მკვიდრად ნაგებ ხიდებს, მთაგორიან სოფლებში სულ მაღლა, კორტოხებზე წამოჭიმულ თეთრ, ქათქათა ორსართულიან სახლებს გავხედეთ, მშრომელთა კარმიდამოები, მუხაესტატელთა ჩაისა თუ ციტრუსების პლანტაციები შემოვიარეთ, გულმა გაიხარა — ყველაფერს გარჯე მარჯვენის მადლი ეტყობოდა.

გზების გასწვრივ, სოფლის მისასვლელებთან თუ მოედნებზე ამ 15 წლის წინათ დარგულ მუხის ნერგებს სიმაღლე მომატებია. მიწაში ფესვები უფრო ღრმად გაუდგამს. აქაურებმა გვითხრეს, ყოველ გაზაფხულზე ემატება მუხის ნერგები მუხაესტატესო.

ნათელა ფაილოძე



# საქმე



ნინო ზაქარეიშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კარგად აეწყო



დასვენების ოთახი



მუშათა სასადილოში

ფ. იაკობაშვილის ფოტოები.

საწარმო გაერთიანება „თბილისრძეში" სადაც მუშაკთა ნახევარზე მეტი ქალებია, შრომის პირობები ისეა მოწყობილი, რომ მძიმე ფიზიკური შრომა ქალებს კი არა, მამაკაცებსაც არ უხდებათ. ყველაფერი კი ალბათ იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ უდგებიან ადამიანები დაკისრებულ მოვალეობას — შემოქმედებითად, თუ მხოლოდ ვალის მოხდის მიზნით. აქ თვლიან, რომ თანამედროვე საწარმო ყველაფრით თანამედროვე უნდა იყოს. ხელის შრომის ეპოქა თანდათან დავიწყებას ეძლევა. ამიტომაც ერთ-ერთ უპირველეს პრობლემად წარმოების მოდერნიზაცია მიაჩნიათ და ყველაფერს აკეთებენ ამ მიმართულებით. ამის შედეგია ის, რომ ბევრი შრომატევადი პროცესი, რომელიც ულმობლად იწირავდა ათობით ქალის ენერგიას, ფიზიკურ და სულიერ ძალებს, ახლა მექანიზებულია, რაც პრაქტიკულად იმას ნიშნავს, რომ იგივე ათობით ქალი მძიმე სამუშაოს ნაცვლად მსუბუქ საქმეს ასრულებს.

დიდი ხანი არ არის, რაც დამთავრდა რეკონსტრუქცია ყველის წარმოების უბანზე, გადაიარაღდა, კეთილმოეწყო იგი, დაიდგა გათვალისწინებული ერთის ნაცვლად ორი თვითდამწნეხი დანადგარი, რამაც ცხრა მანდილოსანი გამოათავისუფლა მძიმე ფიზიკური შრომისაგან. ისინი იქვე დარჩნენ, მაგრამ შრომა გაუადვილდათ.

თითქმის ყველა ძირითადი ძნელი სამუშაო ახლა ავტომატიზებულია და ქალების ფუნქცია ხშირად მხოლოდ იმით ამოიწურება, რომ თვალი ადევნონ, როგორ ასრულებს ესა თუ ის ავტომატი თავის საქმეს ასეა რძის და მაწვნის ჩამომსხმელ საამქროებში, არაჟნის დამფასოებელ ავტომატთან, სულგუნის წარმოების ციკლზე. ბოთლების რეცხვის ხარისხს, მაგალითად სვეტოფილტრის საშუალებით აკონტროლებს ერთადერთი ქალი. რძის და მაწვნის ჩამომსხმელ დანადგარსაც თითო ქალი მეთვალყურეობს.

ისეთი შედარებით მარტივი ოპერაციაც კი, როგორიც არის რძეში მაწვნის დედოს ჩასხმა, ავტომატით სრულდება. ავტომატური რელე განსაზღვრავს აგრეთვე ერთეულ პროდუქციაზე დედოს საჭირო რაოდენობას. მექანიზებული წესით ირეცხება აგრეთვე რძის რეზერვუარები.

ხაჭოს გამომშვებ საამქროში, რომელიც ამ ტიპის საწარმოებში ერთ-ერთ მძიმე უბნად ითვლება, გამორჩევით დიდი იყო ხელით შრომის ხვედრითი წილი. აქ განსაკუთრებით იღლებოდნენ ქალები. გაერთიანების სპეციალისტთა მიერ დანერგილმა ტექნოლოგიამ შვიდიდან ერთამდე შეამცირა ხელით შესასრულებელი სამუშაო პროცესთა რაოდენობა (ის ერთიც მექანიზმით სრულდება).

თანამედროვე ადამიანი მთელ დღეს პრაქტიკულად სამსახურში ატარებს. ამდენად, შრომის პირობებთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება დასვენების ნორმალურ ორგანიზაციას. პრაქტიკულმა საჭიროებამ მოიტანა დიდ საწარმოებში ფსიქოლოგიური განტვირთვის ოთახების მოწყობა შტატიანი ფსიქოლოგების მოწვევა და სხვა.

„თბილისრძეშიც" არის ფსიქოლოგიური განტვირთვის კუთხე, ამ ორ საშუალო ზომის ოთახში, რომლებიც სპეციალურად დაღლილი ადამიანების მოსასვენებლად და გასართობად არის მოწყობილი, ყველაფერია გაკეთებული იმისათვის, რომ კუთხემ თავისი ფუნქცია მაქსიმალურად შეასრულოს. კედლებზე გაკრული მუქი მწვანე ფერის მაუდი, ვარხლინი, თითქოს საგანგებოდ შერჩეული რბილი განათება დიდი ქალაქისათვის დამახასიათებელ ხმაურთან კონტრასტით არაჩვეულებრივად მიმზიდველ სიმყუდროვეს ქმნის. ამგვარი მშვიდი და წყნარი გარემო განსაკუთრებით ესალბუნება ნაჯაფარ ადამიანს. წინა ოთახში მათ მასპინძლობენ, ვისაც შესვენებაზე აქტიური დასვენება-გართობა სურს, ვიდეომაგნიტოფონს ჩაურთავენ, ახალახალ ჟურნალ-გაზეთებს აწვდიან, აქვე მუშაობს ფსიქოლოგიც თავისი ფსიქოლოგიური ტესტებით, დამამშვიდებელი საუბრებით. გარესამყაროს რიტმისა და ხმაურისაგან აბსოლუტურად იზოლირებულ პატარა ოთახს მხოლოდ დასვენების ფუნქცია აქვს, აქ დამაშვრალი ადამიანი წამოწვება, თუ სურს თვალსაც მოატყუებს.

საწარმოს ქალებისათვის გახსნილია ქალთა კონსულტაციის კაბინეტი, (სადაც მუშაობს გინეკოლოგი), სამედიცინო პროფილაქტიკის ოთახი, ჰიგიენის ოთახი, ჯანმრთელობის წერტი, სტომატოლოგიური კაბინეტი, არის საპარიკმახერო, რომ ალარაფერი ვთქვათ საშხაპეებზე, გასახდელებზე და სხვ.

აქაურებს არც ყოველდღიური წვრილმანი საჭიროებისათვის უხდებათ შორს სიარული. აქვთ პროდუქტების, ხილ-ბოსტნეულის, პირველი მოხმარების საგნების მაღაზიები, არის ფეხსაცმელების შემკეთებელი სახელოსნო, ქიმწმენდა, სამრეცხაო პუნქტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაერთიანების დასასვენებელ სახლში კურორტ პანტეანში, ყოველწლიურად ისვენებენ მუშათა ოჯახები.

რაღა თქმა უნდა, მრავალშვილიანი დედები ყურადღების ცენტრში არიან. მათ ეხმარებიან მატერიალურად, აძლევენ საგზურებს.

ამდენი ზრუნვა შრომის კარგ შედეგებს განაპირობებს. შარშან პირნათლად შეასრულეს სახელმწიფო გეგმები, უფრო მეტიც, სოციალისტური ვალდებულებები 25 დეკემბრისათვის გაანაღდეს და დარჩენილი დღეების მანძილზე ზეგეგმით პროდუქციას უშვებდნენ. შარშან აგრეთვე გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაშიც გაიმარჯვეს და გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურეს.

გაერთიანების კოლექტივმა კარგად დაიწყო ახალი წელი. საკმარისია აღინიშნოს, რომ დამატებითს პარტიულ დავალებას — ზეგეგმით 1 პროცენტით გაადიდონ შრომის ნაყოფიერება, და 0,5 პროცენტით შეამცირონ თვითღირებულება, გულმხურვალედ გამოეხმაურნენ. თუნდაც მარტო ამ ამოცანის სირთულე განსაზღვრავს მომავალ სამუშაოთა სერიოზულობას. საამისო რეალური საფუძველი კი საწარმოში არსებობს. ესეც ის უკუგებაა, რომლის თაობაზეც ზემოთ მოგახსენეთ — კარგად აწყობილი საქმე კაცსაც არგებს და ქვეყანასაც.

ᲒᲐᲚᲘᲜᲐ ᲮᲐᲠᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ

# „დიაცი — ქსლისა მზეჭველი"

ნარკვევი



ლილი წამალაიძე

ლამაზი, შიბიანი წინდები შევუძინე შვილებს ფასანაურელი ოსტატისაგან, არც თუ ძვირად, და ნასიამოვნები, თანაც — ძველმთიულურ ხელსაქმეში, ასე თუ ისე, გარკვეული, უცხო შთაბეჭდილებებით დაყურსული ვბრუნდებით შინ.

ყველაზე უფრო ის მახარებს, რომ ბავშვებმა ნახეს ძველებური დაზგა — ხალიჩის, ხურჯინის, ყაჯრის საქსოვი, უყურეს ძაფის ამოხვევას, ქსლის ბეჭვას, ქსოვას...

კარგა ხანს შევყოვნდით, მაინც არ მობეზრდათ, დაინტერესდნენ.

მაკა სულ ფეხებზე იყურება, ხან წინიდან ათვალიერებს ლამაზ შიბებს, ხან — გვერდიდან. ცმუკავს, ვერ ისვენებს. ბიჭს უფრო ღირსეულად უჭირავს თავი, არ იმჩნევს, თორემ ჩუმი ზეიმი აშკარად აწერია ღიმილდაფენილ სახეზე.

— დედიკო, შენ რატომ არ ისწავლე ასეთების ქსოვა? — მომიბრუნდა უცებ მაკა.

სადღაც, გულისგულში ნაზდვილად შევცბი დ გაურკვეველმა სინანულმა სულმოკლეობაც გ ომაჩენინა შვილთან. მთლად რომ არ გამეწბილებინა, „თავი ვიმართლე":

— მე სხვა რამეები ვისწავლე, მაკუნი, არანაკლებ საინტერესო და, წინდაც ხომ შევიძინეთ, შენ ხომ გაქვს, სხვა რაღა გინდა.

მაკა აშკარად არ დააკმაყოფილა ჩემმა პასუხმა, გრძელი წამწამები გაბუტულად აახამხამა და ბავშვური დაუნდობლობით წაილაპარაკა:

— შენი მოქსოვილები უფრო კარგად გამათბობდა...

მაშინ კი გულიანად გამეცინა, შვილი გულში ჩავიკარი და ვეღარ ვძლიე სურვილს ჩვენი ახალი ნაცნობი სხვებისთვისაც წარმედგინა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩანს, მარტო მე არ შემშურდა მთიელი ქალის სისადავის მომხიბლაობა. ჩანს, მის პიროვნებაში მართლაც იყო რაღაც, რასაც ყველა ქალი შეიძლება შენატროდეს — გამრჯე ხელების სითბო, გულიანად ნამუშევრის ხიბლი.

ლილი წამალაიძე,

ნაღვარეველი პატარძალი.

ამგვარი ქალებით შენდაუნებურად, თავისთავად შეუმჩნევლად იხიბლები:

არც განსაკუთრებული სილამაზე, არც არაჩვეულებრივი ნიჭიერება, არც რამ სხვაგვარი თვალშისაცემი ღირსება... სხვათაშორის ნათქვამი: — აბა რაი უნდა ვაკეთო, თუ არ ვქსოვე, ტყუილუბრალოდ ხომ არ დავჯდები,სულ ცეცხლი მედება, ტყუილა დამჯდარ ქალს რო დავინახავ!..

ან: საუბრის დროს თვალთა კილოებში ჩამდგარი სევდიანი ნისლი თუ ფიქრიან-დარდიანი ღიმილი!

ყველაფერი ერთად, ამ ჩვეულებრივ, თითქოს არაფრით გამორჩეულ მთიელ ქალს განუმეორებელ სიმშვენიერეს ანიჭებს, ანიჭებს თანდათან, შეუმჩნევლად,

რაი უნდა ვაკეთოო:

ძროხების მოვლა, ბოსტანი, ქმარ-შვილი, ოჯახი, მტერ-მოყვარე, ძაფის რთვა, ღებვა, წინდების დაქსოვა: ქალებს — ფოჩიანები, დაჭრელებულები, ბალღებს — უფრო სადა „ალალი" ნაქსოვები, შიბიანები. და ბოლოს — საიდანაც უნდა მოვიდე, რაც უნდა დაღლილი ვიყო, დაზგას რო არ მივუჯდე, ერთი-ორი რიგი რომ არ გავიყვანო, ისე რა დამაძინებს?!

საიდან უნდა დაბრუნდეს?

ხატობიდან, ქორწილიდან, ჭირის დღიდან, ნათესავებში მოსაკითხად ან თავისსახლს წასული. მისი „ერთი-ორი რიგი" ზოგჯერ ლამის ნახევარი ხალიჩაა, დაღლას რომ ავიწყებს, დარდს უქარვებს, ძილს გადაუგდებს. რამ უნდა დაღალოს? ბოსტანმა, რეცხვამ, სადილის თადარიგმა, შვილების მოვლამ, ქმრის დარდმა, საქონლის ლოლიავმა..

დარდი ვახსენეთ... ქალის ასაკი რა სალაპარაკოა, მაგრამ ასაკისა როდი ეშინია სრულიად ახალგაზრდა ქალს: მისი ხნისა ბევრი ჯერ კიდევ საკუთარ თავს ესათუთება, არც ვისიმე დარდით გატეხილა, არც საზრუნავს დაულონებია, ამას კი ემხიან სახეზე ცხოვრებაგამოვლილის, ბევრისმნახველის ბეჭედი აზის ნაადრევად, ჭირთათმენის უტყუარი ნაკვალევიც სევდად ჩასწოლია შუქიან თვალებში. მის თბილ ღიმილში იმდენ რამეს ამოიკითხავ, იმდენი გასათუთებული ქალური სიმი შეთრთოლდება, უნებურად შეგძრავს რაღაც, შეგაშფოთებს. მისი ნაღდი ქალურობა შეგშურდება, კეთილად შეგშურდება.

ფრთებდაშვებული ფრინველივით მოიბუზება ქმრის ხსენებაზე: — ეგეთი ბიჭი ფასანაურში არ გამოდიოდაო, გამოსაშვები გამოცდები ჩავაბარე თუ არა სკოლაში, გავყევ და არც მინანია, „ვეფხისტყაოსანი" სულ ზეპირად იცოდა, თითონაც წერდა ბეჩავი, რა არ გამოსდიოდა ხელიდან, ახლა როგორი თვალტანადი და ემხიანი იყოო.

ქალი მას შემდეგ ფასანაურში დამკვიდრდა. ავმა სენმა სანამ არ დარია ხელი ქმარს, სადარდელიც არაფერი ჰქონდა და მთიელი ქალის არც თუ მსუბუქ საზრუნავს იოლად აუდიოდა... სულ მზე უცინოდა პირისახეზე, ბედნიერად გათხოვილი ქალის მზე. წვრილმან სადარდელს რას დაეჩაგვრინებოდა, დიდ სახარულთან ან რა მოსატანი იყო. ნამდვილ გასაჭირსაც არ იმჩნევს, მაგრამ მაინც ჟონავს სევდანარევ ღიმილში, დარდჩაწოლილ დიდრონ თვალებში.

ფრთადაშვებულ ფრინველივით მობუზულა:

— გაზაფხულზე, წყლები რომ წამოდიდდება, მაშინ უფრო შემოუტევს ხოლმე ქმარს სნეულება. იმკურნალა თბილისში, მოიკეთა კიდეც, მაგრამ...

ფასანაურს რომ გასცდებით, რამდენიმე კილომეტრზე პატარა სალოცავი დგას — ნაღვარევის ეკლესია. ადრე მაღლა მდგარა ტყეში, მერე ერთ გაზაფხულზე ღელე მოდიდებულა, არაგვიც წამოშველებია და მოვარდნილ ღვარს ეკლესია დაბლა ჩამოურიყავს. მას შემდეგ ნაღვარევის ეკლესია დარქმევია. სოფელიც იმავე სახელისაა, ასე ყვებიან აქაურები. სწორედ ამ სოფელში, ყმაწვილქალობისას ლილის უფროს დებს დაუქსოვიათ ხალიჩები ძველებურ ხის დაზგაზე. მაშინ მეხუთე კლასის მოსწავლე იქნებოდა, თურმე ინტერესით უყურებდა. ბებიაც ქსოვდა და დედაც (საერთოდ, მთიელი ქალი უხელსაქმოდ წარმოუდგენელია).

გრძელ, ლამაზ თითებს სათუთად უსვამს დაზგაზე გაბმულ ქსელს, მერე ბეჭით ამაგრებს (ესეც — „ქსლის ბეჭვა"!)

თავისდაშეუმჩნევლად იწყებს ქსოვას, უკვე ჩვევაში გადასული მოძრაობით სწრაფად დასრიალებენ თითები, ოსტატურად ხმარობს საგანგებო დანას, მერე ბეჭს უნაცვლებს, გამოჰყავს ულამაზესი ორნამენტები — მუქმწვანე ფონზე ერთმანეთში ჩაწნულ ჩახლართული უამრავი ფერი, საოცარი გემოვნებით შეხამებული და დამშვიდებული.

გვერდით ნახატი უდევს, ყოველი შემთხვევისათვის წინასწარ შესრულებული, თორემ იშვიათად ჩახედავს, უფრო იმედად უდევს.

შვინდისფერი თეთრით დამიჭრელეო, — წუხს რომელიღაც შემკვეთის გამო, თეთრი ისე უშნოდ გამოაჭყიტებს, მთელ ნახელავს წაახდენს. შვიდი ფერი რომ აურიო ერთმანეთში, თუ ეხამება, მაინც ლამაზია და მაინც, ერთი უშნოდ გამოჭყეტილი კი ყველაფერს გაგიფუჭებს...

დუშეთში ფაბრიკა რომ გაიხსნა, ბევრი მთიელი ქალივით ლილი წამალაიძემაც მიაშურა კურსებს. სხვებზე იოლად დაოსტატდა. ახლა ისიც ერთია 400 მთიელ ქალთაგან, ფაბრიკა რომ ვეღარ იტევს და ზოგი შინ მუშაობს. ფაბრიკა ძაფებითა და შეკვეთებით ამარაგებს. ლილიც შინ ქსოვს, ქმარ-შვილთან ახლოს.

— საქმისთვის შინ სჯობს, საქმეს არ დააზანებ, გართობა კი იქ უფროა, რა თქმა უნდა, — ილიმება ახალგაზრდა ქალი, — ჩვ ოთხნი ერთად სხედან, გვერდიგვერდ, ერთმანეთს ემძრახებიან, გაიხუმრებენ, ხან რას იტყვიან, ხან რას. დარდსაც იყოფენ და სიხარულსაც...

ლილი მარტო ზის მომცრო ოთახში, ნაბოლარა შვილის საწოლიც იქვე უდგას (მეტი თვალ-ყური სჭირდება!) ნათურის ცალ მხარეზე გაზეთი ჩამოუფარებია, შვილის ძილს უფრთხილდება, დაზგის მხარე კი გაჩირაღდნებული აქვს.

ადის და ჩამოდის გარა — ფიფხას აკეთებს (ნაქსოვს აჯვარედინებს), სათუთად დასრიალებენ გაწაფული თითები, ძაფები ამოჰყავთ სპეცმაკრატლით. (წინათ ხის დაზგაზე ხელით ამოჰყავდათ, უფრო საგვიანო იყო, რა თქმა უნდა!).

რიგი რომ დამთავრდება, გრძელტუჩა მაკრატლით კრეჭს ნაქსოვს, ათანაბრებს ხალიჩის ზედაპირს (ამასაც ოსტატობა უნდა, თანაბრად რომ გაიკრიჭოს, ოსტატობას კი — ხელისა და თვალის დამატებითი შეგრძნებები)...

თანდათან იღებს დასრულებულ ფორმას ხალიჩის სახეები. თითო მომცრო ხალიჩას 2-3 დღე სჭირდება, დაზგა ერთდროულად ორ პატარა ხალიჩას იტევს. მერე ჯერ ასპი იჭრება, ბოლოს — ხალიჩები, პატარ-პატარა ფოჩებსაც უტოვებს, ასე უფრო ლამაზია.

და, — ისევ თავიდან: ქსლის გაბმა, გაცალკევება, ასპი, ქსოვა — ნაბიჯ-ნაბიჯ, ფერად-ფერად სტრიქონებად, ვიდრე ნალოლიავებ ფერთა გამა ერთ მთლიან, დასრულებულ სახეს მიიღებდეს...

ლილის ბებია ხის დაზგას უჯდა, ხელით ქსოვდა. დედაც — ასევე. უფროსი დებიც ძველებურ დაზგაზე ქსოვდნენ ხალიჩებს, ფარდაგებს, ყაჯრებს (უნაგირზე იხმარება, ზედ ჯდებიან), ხურჯინებს...

ლილის დაზგა შედარებით წინგადადგმული ნაბიჯია, უფრო გამძლე, სწრაფადაც მუშაობს. მქსოველის მადლიან ხელებზე კი ახლაც ბევრი რამ არის დამოკიდებული.

— ძნელია, რა თქმა უნდა, — ეღიმება ჩემს შეკითხვაზე, — იოლად კარგი არაფერი კეთდება. კარაქის აღლვება რაა, იმასაც შრომა უნდა. რაც მეტს იწვალებ, მით უკეთესი გამოდის, ოღონდ უნდა გინდოდეს, გიზიდავდეს საქმე, ისე არაფერი გამოგივა...

თვალებიც ეღლება,

თითებიც,

მკლავებიც,

ხერხემალიც — დაძაბული ჯდომისაგან.

გულს უხარია ლამაზ ფერებად დაჭრელებული მამაპაპური ხალიჩის კონტურები ერთიან, მომხიბლავ ფორმას რომ მიიღებს, მნახველს გაახარებს.

და ზის ახალგაზრდა, მომხიბლავი ქალი დაზგასთან, ლამაზ ოცნებებს აქსოვს ფერად ორნამენტებში, — ყმაწვილქალობის სიზმრებს, ჩუმ სურვილებს, ახდენილსა თუ აუხდენელს. ზოგჯერ დარდსაც აქსოვს და დიდ იმედებსაც.

მის ცხოვრებას ერთი ფრთალალი აზრი ასხივოსნებს — აზრი ხხვათა გახარებისა...

ᲓᲘᲐᲜᲐ ᲢᲣᲔᲑᲣᲩᲐᲕᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იროდიონ ქავჟარაძე

# გაპარვა



მხატვარი ნანი შალიკაშვილი

მოთხრობა

ეს ამბავი გაპარვით დაიწყო. მკითხველი იკითხავს, ვინ ვის გაეპარაო. შეიძლება არც იკითხოს, რადგან ეს არც ისეთი იშვიათი მოვლენაა. ქალიშვილი გაეპარა მშობლებს.

რა მოჰყვა ამ გაპარვას?

მშობლების მღელვარება, წნევის აწევა, გულის წასვლა, ოჯახური მყუდროების დარღვევა, მითქმა-მოთქმა.

ნანულის აღშფოთებული მამა ამბობდა:

— ხელი მოუწერიათო, ეს ჩვენ რას გვშველის?!. ახლოს არ გავიკარებ. ქალ-ვაჟი გამოვზარდე და მშვიდობიანად დავაოჯახე. ეს რა მიყო?!. არაფერი დამიკლია, განებივრებული მყავდა. მოსაკლავია.

დედა კი მოთქვამდა:

— ჩემი შვილია, ჩემი ნალოლიავები... წყალში რომ ჩავარდნილიყო, ხომ ამოიყვანდი? ფეხი დაუცდა, არ უნდა მიეშველო ჩემს დამჯერე, გამგონე გოგონას? დარწმუნებული ვარ, ახლა ნანობს თავის აცეტებას.

დატრიალდნენ ნანულის თანაკლასელი გოგონები, რომ მამას ნანულისთვის შინ მისვლის ნება მიეცა. არწმუნებდნენ, სიძე, პლატონი, კარგი ოჯახის ერთადერთი შვილია, ახალმიღებულ ბინაში ცხოვრობენ, პლატონი ემზადება უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელადო. იმას კი უმალავდნენ, რომ პლატონის მამა გაცოფებული ამბობდა:

— ოჯახში როგორ შემოვუშვებ ისეთ რძალს, რომელმაც თავისი მშობლები არ დაინდო და გამოეპარა. ხეირს არც ჩვენ დაგვაყრის. ჩემმა შტერმა შვილმა თავს თვითონ უპატრონოს.

— ნანულის ყველა აქებსო, ეუბნებოდა ცოლი.

— თუ ასე საქებარია, თან გაჰყევი შენს უტვინო შვილს. დღეიდან არც ერთი აქ არ ვნახო. — თავისას არ იშლიდა პლატონის მამა.

ნანულის მამა ძლივს დაითანხმეს, რომ შვილისთვის შინ მისვლის ნება მიეცა.

დაქორწინებულნი ფრთხილად მოვიდნენ თანაკლასელი გოგონების თანხლებით. მამა თავის ოთახში ჩაიკეტა. ლოგინზე წამოწოლილი, დასუსტებული დედა იცრემლებოდა. ახალგაზრდების ხმა რომ გაიგონა, აკანკალებული ხელებით თვალები დაიფარა. ბინაში პირველად შესვლას ყველა გაურბოდა. ახალგაზრდები ამხნევებდნენ... ყველაზე თამამმა ნათელამ კარი შეაღო. ფეხაკრეფით შეყვნენ... დედა ტირილს ძლივს იკავებდა. აქვითინებული ნანული მასთან მიიჭრა და ჩაეკონა.

მდგომარეობა გაირკვა და ნანული შინ დარჩა. პლატონი ცოლს ხშირად აკითხავდა. ორივე გულმოდგინედ მეცადინეობდა უმაღლესში გამოცდების ჩასაბარებლად. ცოტა ხნის შემდეგ კი, პლატონი ცოლთან თანდათან იშვიათად მოდიოდა. თავს იმით იმართლებდა, თავაუღებლად ვსწავლობ, სიარულში დრო მეკარგებაო. მალე გამოირკვა, რომ ფეხბურთის ყოველ თამაშს ესწრებოდა, ახალ ფილმებს ნახულობდა.

ნანული ასეთ შეურაცხყოფას ვერ იტანდა. მადა დაკარგა, არ ჭამდა, გახდა. შეშინებული მშობლები თავს ევლებოდნენ. ფეხმძიმობა შენიშნეს. ერთ დღეს ნანული თავს მოერია და დედას სთხოვა პლატონი არ დამანახოთო...

ნანულიმ უნივერსიტეტში გამოცდები ჩააბარა. პლატონი კი გამოცდაზეც კი არ გამოცხადებულა.

გაპარვა განქორწინებით დამთავრდა.

ნანულის მშობლები შეწუხებული იყვნენ ამ მდგომარეობით. მამა მოითხოვდა, რომ ნანულის ბავშვი მოეშორებინა, დედა კი წინააღმდეგი იყო, მაგრამ როგორც იქნა, დაიყოლია. მაშინ ნანულის დრო შეურჩია და ფრთხილად უთხრა:

— იცი, შვილო, რა ძნელია ჩვილის მოვლა და ამასთან ერთად უნივერსიტეტში სწავლა?

ნანული მაშინვე მიხვდა, რის თქმა უნდოდა, და მტკიცედ უთხრა:

— მე ბავშვი მეყოლება და არც სწავლაში შემეშლება ხელი.

მამამ იწყინა ასეთი პასუხი.

— რად გინდა იმ ულირსის შვილი?

— ის ხომ ჩემი შვილიც არის? სასიკვდილოდ ვერ გავწირავ. რა დანაშაული მიუძღვის? არ მინდა ჩემი ქალური ცხოვრება შვილის მკვლელობით დავიწყო. სჯობს, უმალ მე მოვკვდე.

დედამ ეს რომ მოისმინა, გულგახეთქილმა შვილი გულში ჩაიკრა.

ნანული თავს უვლიდა, რომ ბავშვი ჯანსაღი გაჩენილიყო. ცქრიალა ნანული გულჩათხრობილი გახდა. უნივერსიტეტში არავის ემე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გობრებოდა. არ უნდოდა, მისი ფეხმძიმობა შეემჩნიათ. ნანულის გოგონა შეეძინა. გადაწყვიტა, ბავშვისთვის თავისი გვარი მიეცა. მშობლებმა არ ურჩიეს:

— დაინტერესდებიან, დედის გვარი რატომ აქვსო. აგორდება ჭორი: რატომ და როგორ მოხდა ესო. ბავშვიც რომ წამოიზრდება, ისიც გაიკვირვებს და ძიებას დაიწყებს.

ნანულიმ ეს მოსაზრება საგულისხმოდ მიიჩნია და ახალშობილი ოჯახში დამკვიდრდა, როგორც ნუგეშა პლატონის ასული გვარაძე.

ნანულიმ განაახლა უნივერსიტეტში სიარული. ლექციების შემდეგ შინ მიიჩქაროდა ბავშვის მოსავლელად. თანაკურსელებთან საამხანაგოდ ვერ მოიცალა. მაგრამ მაინც შენიშნა, რომ ერთი სტუდენტი, ზვიად ცნობილაძე, თვალს არ აშორებდა, ცდილობდა, ხშირად გამოლაპარაკებოდა. ტროლეიბუსითაც კი იმგზავრა ნანულისთან ერთად, მაგრამ მასთან საუბარი მაინც ვერ გააბა. „ჰო“, ან „არა“ — ყოველთვის ასეთი იყო ნანულის პასუხი. ზოგჯერ კი, თავი რომ დაეხსნა, რამე სასწრაფო საქმეს მოიმიზეზებდა, ზვიადს ბოდიშს მოუხდიდა და ჩქარი ნაბიჯით მოშორდებოდა.

ნანული დაქალდა, სილამაზე და სინაზე არ აკლდა. მისი ცისფერი თვალები გულკეთილობას გამოხატავდა, სასიამოვნო ხმა ჰქონდა. ზვიადიც ყურადღებას იპყრობდა გარეგნობით. ყველას ადვილად გაუშინაურდებოდა. მის გარშემო თავს იყრიდნენ სტუდენტები, მათ შორის განსაკუთრებით ქალიშვილები. ამბის საინტერესო თხრობა იცოდა. კარგად სწავლობდა, საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდა. მოწინავე სტუდენტად ითვლებოდა.

ზოგჯერ ზვიადი მთელ თვეს ნანულის განგებ არ აქცევდა ყურადღებას, თვალს არიდებდა. ნანულის ეს უკვირდა, რა ვაწყენინეო, მაგრამ თითქოს არაფერიაო, არ იმჩნევდა.

სასწავლო წელი მიიწურა. ნანული გაზეთში პლატონის შესახებ დაწერილ წერილს წააწყდა. მისი სურათიც მოეთავსებინათ. ოჯახური საქმეები მიატოვა და აღელვებულმა მაშინვე წაიკითხა. მის მშობლებს ასეთი წერილი მიუღიათ:

„სამხედრო ნაწილის შემადგენლობა გაცნობებთ, რომ თქვენი შვილი პლატონი კეთილსინდისიერად იხდის მოვალეობას სამშობლოს წინაშე, სწორედ ისე, როგორც მხედრული ფიცი მოითხოვს.

უკვე გამოიჩინა თავი შრომისმოყვარეობით, დისციპლინით, გახდა სამხედრო საქმის ოსტატი. ასეთი ჯარისკაცით ამაყობს ნაწილის პირადი შემადგენლობა. და გულითად მადლობას უხდის მშობლებს კარგი შვილის აღზრდისათვის.

უმცროს სერჟანტს პლატონ გვარაძეს წელიწადი უსრულდება სამხედრო სავალდებულო სამსახურში და უკვე მიღებული აქვს მრავალი სიგელი, მათ შორის საბჭოთა კავშირის გმირის ტ. სელისჩევის სახელობისა, რომელიც ეძლევათ ნაწილის მებრძოლებს საბრძოლო მომზადების მაღალი დონის და სამაგალითო დისციპლინისათვის“.

ასეთმა კარგმა დახასიათებამ ნანული გააოცა, თუმცა სკოლაში ერთად ყოფნა რომ გაიხსენა, აქ მოულოდნელი და გასაოცარი არაფერი იყო. პლატონი მაშინაც შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა, კარგად სწავლობდა და ჩამორჩენილ ამხანაგებსაც ეხმარებოდა: ეს გაზეთი ნანულიმ სათუთად შეინახა.

...ნანულიმ ახლაც ჩვეულებრივ ბაზარში გაიარა. სურსათ-სანოვაგით დატვირთული შინ მიიჩქაროდა. ამ დროს იქვე ზვიადი შეხვდა, მიესალმა და ვარდების თაიგული მიართვა. ნანულის ორივე ხელი ჩანთებით ჰქონდა დაკავებული. ზვიადმა თავაზიანად ერთი ჩანთა გამოართვა და ვარდების კონა მიაწოდა.

— ტროლეიბუსამდე გაგაცილებ.

ნანული დუმდა. ზვიადმა მეორე ჩანთაც გამოართვა და ტროლეიბუსში აუტანა.

ნანული თავისი სახლის სადარბაზოსთან შეჩერდა.

— ბარემ კიბეზე აგატანინებო — უთხრა ზვიადმა.

— გმადლობ, პირველ სართულზე ვცხოვრობ. — იცრუა ქალმა, რომ არამკითხე დამხმარე თავიდან მოეშორებინა. ეტყობა, ზვიადი ნანულის უთვალთვალებდა და ბაზარშიც შემთხვევით არ შეხვედრია.

ამ ამბავმა ქალი ჩააფიქრა და ააფორიაქა:

ბავშვი დაძინებული დახვდა. დედა საშინაოდ გამოეწყო. ნუგეშამ ფუნთუშა ხელები დაუკოცნა. ფოსტის ყუთიდან ამოტანილი წერილის წასაკითხად მოემზადა. კონვერტი ხელიდან გაუვარდა. წერილი პლატონისაგან იყო. არ მოელოდა, ორი წლის დუმილის შემდეგ იწერებოდა ნაქმრევი. როგორ გაბედა?! წაუკითხავად უკან დაუბრუნებს. ცრემლები ვერ შეიკავა. ერთ ხანს გარინდებული იდგა. სული რომ მოითქვა, აკანკალებული ხელით აიღო ბარათი და თავის ოთახში განმარტოვდა.

„...ნანული! შეგიძლია, ეს წერილი წაუკითხავად დაფლითო და ქარს გაატანო. მე ამის ღირსი ვარ. ბევრჯერ დავაპირე, მომეწერა, მაგრამ ხელი არ მემორჩილებოდა, გონება მიჩლუნგდებოდა. რა უნდა მეთქვა?.. ან ახლა რა უნდა გითხრა? არის დანაშაული, რისთვისაც არავინ დაგსჯის, მაგრამ თვითონ სასტიკად განიცდი შენს დანაშაულს. ის, რაც მოხდა, თავისთვის ვერ მიპატიებია. ერთი მხრით შენი მშობლები ამიხირდნენ, აქეთ ჩემმა მშობლებმა გამწირეს. ცხოვრებაში გამოუცდელი ვიყავი და დავიბენი. სულმოკლეობა გამოვიჩინე, სწავლაზეც ხელი ავიღე. მხოლოდ გართობით ვახშობდი ჩემს წუხილს. შენთან შეხვედრასაც გავურბოდი შერცხვენილი, უსუსური.

ორი წელი უკვე იწურება და აღარ ვიცი, რომ დავბრუნდები, რით მოგიბრუნო გული? რა ბავშვურად მოვიქეცი! ბავშვურად კი არა, საძაგელი ბავშვივით. პლატონი“.

ნანულის წერილი ხელში ეჭირა და აღგზნებული ოთახში უაზროდ დაბორიალობდა.

წერილი გადამალა, რომ მშობლებს არაფერი გაეგოთ, სანამ თვითონ რაიმეს გადაწყვეტდა.

ფიქრებმა დაქანცა. მთელი ღამე ბორგავდა. დილით ძალა აღარ ეყო, რომ უნივერსიტეტში წასულიყო. არ უნდოდა, ასეთ მდგომარეობაში ვინმეს ენახა.

გამოცდების ჩაბარება იწყებოდა. ნანულის თავაუღებლივ უნდა ემეცადინა, მაგრამ პლატონის წერილი არ ასვენებდა. ნებისყოფა გამოიჩინა, გამოცდები ჩააბარა.

ამ ჭაპანწყვეტაში საკმაო დრომ განვლო, ქალი თითქოს მშვიდდებოდა, მაგრამ რაღაც შიშით იყო შეპყრობილი. ბავშვს განსაკუთრებით უვლიდა. პლატონისა და ნუგეშას მსგავსება უფრო მკვეთრი ხდებოდა. სინდისი ჰქენჯნიდა, რომ წერილი ამდენ ხანს უპასუხოდ დატოვა.

ერთ საღამოს თანაკლასელმა დაურეკა:

— გაიგეთ საშინელი ამბავი? — ჩვენი კარგი პლატონი ავტოკატასტროფაში დაღუპულა:

ქალს ყურმილი ხელიდან გაუვარდა: ხმაურზე დაფეთებული დედა შემოვარდა, ყურმილს დაავლო ხელი.

— რა მოხდა? ნანულის დედა ვარ.

— ნათელა ვარ. ჩვენ ვიფიქრეთ, თქვენ უკვე იცოდით პლატონის დაღუპვის ამბავი.

ნანული ნუგეშას ტირილმა გამოაფხიზლა.

— იტირე, შვილო, იტირე, მამა აღარა გყავს! — ატირდა ნანული.

ზვიადმა ეს ამბავი გაიგო. თავშეკავებულად იქცეოდა, მაგრამ ნანულისადმი ყურადღება გააორკეცა.

ხანი გავიდა... ნანული უკვე ზვიადს აღარ გაურბოდა, მაგრამ ვაჟი თუ რაიმეს გადაკრულს ეტყოდა, სიტყვას ბანზე უგდებდა. ეს ზვიადს აბრაზებდა: „რა გახდა ეს უკარება?! ან ჰო, ან არა!“

...ლექციების შემდეგ სტუდენტები უნივერსიტეტის შენობიდან გამოვიდნენ. ნანულიმ თავისი ტროლეიბუსი დაინახა და გაქცევა დააპირა.

— ნახვამდის, წავედი!

ზვიადი წინ გადაუდგა:

— მთელი დღე ლექციებზე ვისხედით, ახლა ფეხით გავლას რა სჯობს. წინადადება შემომაქვს, გამარჯვების პარკში გავისეირნოთ.

— კარგია, კარგი! — დაეთანხმნენ ყველანი.

ნანული ამხანაგების სურვილს ვერ გამოეთიშა... მთელი ჯგუფი უცნობი ჯარისკაცის საფლავთან მივიდა. იქ მოწიწებით იდგნენ. ნანულის პლატონი მოაგონდა. თვალზე ცრემლი მოადგა.

— გავიაროთ! — უთხრა ზვიადს.

— სტუდენტები ჯერ ერთად დადიოდნენ. პარკს ათვალიერებდნენ. მერე შეუმჩნევლად პატარ-პატარა ჯგუფებად დანაწილდნენ. ზვიადმა ჩრდილში თავისუფალი სკამძელი დაინახა.

— დავსხდეთ!

— ბავშვთან მიგვიანდება, — თქვა ნანულიმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



— მეც წამოვალ, შენს მშობლებს გავიცნობ და იქნებ...

— რა სრულწლოვანი არა ვარ, თუ?!

— ამდენი ხანია, ვცდილობ და შენი ყურადღების ღირსი ვერ გავხდი.

— გახდი. მაგრამ მე ხომ დედა ვარ, ბავშვიანი... სხვა ვერავის იპოვე?

— სხვასთან ნუ მგზავსი! ბავშვი რას გვიშლის?! ვერ ვუპატრონებთ? ნუ გეშინია, გაიზრდება. ნუ ჰაიძულებ, უნივერსიტეტი მივატოვო. ის ზომამდე მიველი, რაღაც სისულელეს ჩავიდენ...

ნანული თავდახრილი იჯდა.

ამხანაგებს გვერდი აუარეს, პარკიდან გავიდნენ.

მშობლები მიხვდნენ, ეს სტუმრობა რას მოასწავებდა. ზვიადს თავი ლაღად ეჭირა. ისადილეს. მამამ დიასახლისი ადღეგრძელა, მერე სტუმარი. ზვიადმა მადლობა გადაუხადა პატივისცემისთვის.

— მეც გისურვებთ ყოველივე კარგს. კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა.

ბავშვის ტირილი მოისმა. ნანულიმ მიაშურა. ზვიადი წამოდგა წასასვლელად. შეეპატიჟნენ.

— შეპირებული ვარ და არ შეიძლება არ წავიდე. ნანულიმ შემოუსწრო, ბავშვს დედისათვის ხელები კისერზე შემოეჭდო. სტუმარი გააცილეს. მასპინძლები დუმდნენ. ნანული ნუგეშას ეალერსებოდა.

— კაცო, ენა დაგება? ხმა ამოიღე! — თქვა დედამ.

— ხმა ნანულიმ უნდა ამოიღოს, რას ფიქრობს — უპასუხა მამამ.

— გადაწყვეტილი რომ არ ჰქონდეს, ხომ ოჯახში არ მოიყვანდა. თქვი შენი აზრი.

— ჩემზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. გარეგნობით ვერ დაიწუნებ, ზრდილობიანია, გულახდილი ჩანს.

...გამოცდების ჩაბარების შემდეგ ნანული და ზვიადი დაქორწინდნენ და ბიჭვინთაში გაემგზავრნენ დასასვენებლად.

ნანულის თავი ზღაპარში ეგონა. ბუნების მშვენიერება და მოავარაკეთა სილაღე ავიწყებდა ადამიანის საზრუნავს. განსაკუთრებით ზღვა ხიბლავდა. ცურვის სწავლა მოისურვა.

მაგრამ გულით მაინც ვერ გაეხარა, რადგან დარდი არ ასვენებდა, — ბებიასთან დატოვებული შვილისა, უიმისობას ძალიან განიცდიდა, თან ცდილობდა ეს ქმარს არ შეემჩნია და მხოლოდ მარტო დარჩენილი ჩუმად იცრემლებოდა.

წლები მიჰქროდა. ნანულის ბიჭი შეეძინა, ლაშა დაარქვეს. ცოლქმარმა უნივერსიტეტი დაამთავრა და სხვადასხვა საშუალო სკოლაში დაინიშნენ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ნუგეშა ბებიასთან იზრდებოდა. ლაშა უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, მშობლებთან იყო. ნანული, თუ ოდნავი საშუალება მიეცემოდა, თავის გოგონასთან გარბოდა. ერთხელ ქმარს შესთავაზა:

— ჩემს მშობლებთან გადავიდეთ საცხოვრებლად, ორივე ბავშვის მოვლა გამიადვილდება.

— სხვის ოჯახში სტუმრად ყოფნა არ შემიძლია, მშობლებსაც ვერ მივატოვებ.

— მაშინ ნუგეშა აქ მოვიყვანოთ.

— როგორ შეძლებს დედაჩემი ორივე ბავშვის მოვლას?!

— მაშინ ასე მოვიქცეთ, ერთ თვეს აქ ვიყოთ, მეორე თვეს ჩემს მშობლებთან.

— მე არ მინდა ჩემი შვილი ვიღაცის შვილთან იზრდებოდეს.

— ნუგეშა ჩემი შვილია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მხოლოდ შენი?

— არ მინდა შენთან ლაპარაკი. უგულო ყოფილხარ, თუმცა, ხომ ამბობდი, ბავშვი გაიზრდებაო...

— ახლაც ვამბობ.

— უდედოდ? დედის ალერსს მოკლებული?

— ხანდახან მიხედე, ამის წინააღმდეგი არა ვარ.

— დიდი წყალობაა!

ნანულის ლაპარაკი აღარ შეეძლო. მარტო ოთახში ჩაიკეტა და ტირილით გული მოიჯერა. საშინელი განზრახვა აეკვიატა — ქმარს გაშორებოდა. ათასნაირად წონიდა. უფრო ის აშინებდა, რომ ლაშა ნუგეშას ბედს გაიზიარებდა.

დედამ ნანულის ახალი, სანერვიულო ამბავი დაახვედრა:

— პლატონის მშობლები გვემუდარებიან, ნუგეშა გვაჩვენეთო.

ნანული აფეთქდა:

— როგორ ბედავენ?! პლატონიც მათ დაღუპეს და მეც!

გოგონა დედიკოსთან მიცუნცულდა, მიეტმასნა.

— დედა!

ნანული გამოერკვა, ბავშვი ხელთ აიყვანა, გულში ჩაიკრა. ერთხანს დუმდა.

— მამა არა ჰყავს, ბებია და ბაბუა რაღატომ დავუკარგო? ნახონ, მაგრამ ისინი მე არ შემახვედრო.

ნანულის მშობლები ქალიშვილის აწეწილი ოჯახური მდგომარეობით ძალიან წუხდნენ... ნანული კი ბედს შეურიგდა, მაგრამ ცხოვრება უფრო გართულდა, როცა ნუგეშა წამოიზარდა. ბავშვმა იცოდა, რომ ძამიკო ჰყავდა, და უკვირდა ერთად რატომ არ იყვნენ, ასე იშვიათად რატომ ხვდებოდნენ ერთმანეთს.

ზვიადი ორი კვირით მივლინებაში გაემგზავრა. ნანულიმ შემთხვევით ისარგებლა და და-ძმა ერთად ამყოფა. ბავშვები ერთმანეთს ესიყვარულებოდნენ. გოგონა, როგორც უფროსი, ართობდა პატარას. ზვიადის მშობლებიც ხარობდნენ მათი ცქერით და აოცებდათ ზვიადის ახირება, ნუგეშას რომ არ იკარებდა.

ნაადრევად მივლინებიდან დაბრუნებული ზვიადი, მოულოდნელად ოთახში შემოვიდა. შეიჭმუხნა, ქუდიც არ მოუხდია, უკან გაბრუნდა.

— გაერთეთ, მე ღამის გასათევს კი ვიშოვი.

დაბნეული მშობლები დაედევნენ, ზვიადმა არც კი მოიხედა, კარი გაიჯახუნა და წავიდა. ნანული დამნაშავესავით იდგა. მცირე შეყოვნების შემდეგ გოგონა ლოგინიდან გადმოიყვანა, შემოსა, ლაშას აკოცა და თქვა:

— სანამ ნუგეშას შინ მივიყვან, დავაძინებ, ღამე მომისწრებს, ვეღარ დავბრუნდები

— ნუ გეშინია, შვილო, ლაშას დავაძინებ, — უთხრა აცრემლებულმა დედამთილმა და რძალი გულში ჩაიკრა.

— მე ლაშასთან მინდა! — გაჭირვეულდა ნუგეშა.

...მეცხრე კლასელი გოგონები შეთანხმდნენ, ახალი ქართული ფილმი ენახათ. კინოსთან შეიკრიბნენ. ერთმა უთხრა ამხანაგებს:

— აქვე, ახლოს სკოლაში მასწავლებელი მოხსენებას კითხულობს ბავშვის აღზრდაზე, ჩინებული ორატორი ყოფილა. დედაჩემი იქ არის. მოდი, მოვუსმინოთ, ფილმის ნახვას ხვალაც შევძლებთ.

— რა გვარია? — იკითხა ნუგეშამ.

— არ მიკითხავს.

ჩოჩქოლი შეიქნა.

— ხომ ხედავთ, რამდენი ხალხია! კინოს ბილეთებს ვერც ვიშოვნით და ამ შემთხვევასაც ხელიდან გავუშვებთ, — ღელავდა წინადადების შემომტანი.

...მასწავლებელი მოხსენებას უკვე კითხულობდა. სკოლის დიდ დარბაზში თავისუფალი სკამი აღარ იყო. ფეხზე დგომამ მოუწიათ. მოსწავლეები ცდილობდნენ მომხსენებელი კარგად დაენახათ. ხუჭუჭთმიანი, ლამაზი ვაჟკაცი იყო, ამღერებულად ლაპარაკობდა.

ცოტა ხნის შემდეგ ნუგეშამ აიხირა, წავიდეთო. ამხანაგებმა გაიკვირვეს, მიზეზი ჰკითხეს. არ უპასუხა. დაჟინებით მოითხოვდა, ამ საღამოს შინ მარტო ნუ გამიშვებთო. ამ ჩოჩქოლმა ყურადღება მიიპყრო. თავმჯდომარემ წესრიგის დაცვა მოითხოვა. შეწუხებული, აღელვებული ნუგეშა იძულებული გახდა, დარჩენილიყო.

მომხსენებელი ვრცლად შეეხო ბავშვის აღზრდის საკითხებს და დასძინა:

— ბავშვები სიყვარულის გარემოცვაში უნდა აღვზარდოთ. თუ მოზარდი რაიმეს დააშავებს, ჩვენ აღშფოთება, გაგულისება უნდა შევიკავოთ. ჩავწვდეთ დანაშაულის გამომწვევ მიზეზებს და მას, როგორც ავადმყოფს, ვუმკურნალოთ. სიყვარული, ზრუნვა არ უნდა მოვაკლოთ ბავშვებს. დიდ რუსთაველს უბრძანებია, ვინც მეგობარსა არ ეძებს, იგი თავისა მტერიაო. ჩვენ მივბაძოთ და ვთქვათ: ვინც ბავშვის აღზრდისთვის არ ზრუნავს, იგი თავისა მტერია. არ უნდა განვასხვავოთ ჩვენი შვილები სხვებისაგან. გონიერ მოქალაქეს არ უნდა წამოსცდეს: სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო.

მაშ, მეგობრებო, ჩვენი ულევი სიყვარული და ყოველივე საუკეთესო ბავშვებს!

მოხსენება დამთავრდა, ტაშმა იგრიალა.

ნუგეშა უსმენდა მომხსენებელს, თრთოდა, კინაღამ გული შეუღონდა.

დარბაზი დამშვიდდა, თავმჯდომარემ დამსწრეთ მიმართა:

— შეკითხვები ხომ არ გექნებათ?

— ყველაფერი ნათელი და გასაგებია. — წამოიძახეს დარბაზიდან.

— მაქვს შეკითხვა!

ყველამ ნუგეშასკენ მიიხედა. გოგონა აღელვებისაგან ძლივს ლაპარაკობდა.

— საინტერესოა, ბატონი მომხსენებელი ახორციელებს თუ არა პრაქტიკულად ბავშვის აღზრდის ამ იდეალურ წესებს?

მომხსენებელი გაფითრდა, თავი დახარა.

— თქვენი გვარი? — ჰკითხა ნუგეშას თავმჯდომარემ.

— მე ბავშვობიდან მიცნობს ორატორი.

მომხსენებელს თავი მაღლა არ აუწევია. დაძაბული მსმენელები კი მოელოდნენ, რომ იგი საკადრის პასუხს გასცემდა ამ თავხედ ქალიშვილს.

ნუგეშამ სწრაფად დატოვა დარბაზი.

მომხსენებელი ზვიად ცნობილაძე გაქვავებული იჯდა...

ბელა შალვაშვილი

## უნდა გავიქცე

უნდა გავიქცე ამ სახლიდან,
უნდა წავიდე,
უკავშირდება აქ ყოველი
მხოლოდ შენს სახელს,
როგორ დავიწყო ყველაფერი
ახლა თავიდან,
თორემ წერილებს და სურათებს
ადვილად დავხევ.
კი დავხევ, მაგრამ
ხსოვნა არი ისე ვერაგი,
რის დავიწყებაც გესურვება,
გინახავს იმას,
ვით გადავშალო, საყვარელო,
დღენი ფერადი,
ნაჯღაბნი ხილა ხომ არ არის, —
წაშალოს წვიმამ.
უნდა გავიქცე ამ სახლიდან,
უნდა წავიდე,
მაგრამ გაქცევით რა იწყება
ნეტავ თავიდან..

## ჩემი ჯარისკაცი

— „ნაწილი ოცდათერთმეტი
ექვსას ოთხმოცდაათი“,
ის ჩემი დიდი საუნჯე
და ჩემი სულის მნათი.
„ნაწილი ოცდათერთმეტი
ექვსას ოთხმოცდაათი“ —
ის ჩემი სალოცავია
და ჩემი ყველა ხატი.
იქ ჩემი ფიქრი ტრიალებს
და დატორტმანებს ლანდი,
იქ ჩემი დროშა ფრიალებს
და სიამაყე დადის.
„ნაწილი ოცდათერთმეტი
ექვსას ოთხმოცდაათი“, —
ის ჩემი სალოცავია
და ჩემი ყველა ხატი.
დაღამდება და დედილოს
ფიქრი მიჰყვება წადილს,
ღამის ბინდ-ბუნდში უშიშრად,
როგორც გუშაგი დადის...
ეს- ფიქრი, დედაბერივით,
თავზე ისწორებს მანდილს,
დაიარება ოცნებით, —
დედაშვილური მადლით.
კვლავ დაირხევა აჩრდილი,
ყველა კარებში შევა,
მერე, მძინარეთ ყურს უგდებს, —
ხომ არვის უნდა შველა?
მივა და, ქოჩორს უსწორებს,
ფრთხილად უსწორებს საბანს...
და მერე ლაწვებს იწმენდავს
ათასჯერ ცრემლით ნაბანს.
იქ არის, ფიქრი ერთთან აქვს.
ერთის აწუხებს დარდი,
ალვის ჩრდილებქვეშ უშიშრად,
როგორც გუშაგი დადის.
— იქ ჩემი ერთა ტრიალებს, —
ჩემი ფიქრი და ნიჰი,
თავს ისახელებს ყოველთვის
ის, დედისერთა ბიჭი!
ნაწილი „ოცდათერთმეტი
ექვსას ოთხმოცდაათი“,
ის ჩემი დიდი საუნჯე
და ჩემი სულის მნათი!

რუსუდან მკერვალიშვილი

## მამული მაქვს დასაფიცი

სიმღერებით მოვიარე
სხვისი არა — ჩემი მიწა,
კიდევ ერთხელ გამიღიმე
ეს რა თეთრი კბილი გიჩანს!
კიდევ ერთხელ შემომხედე
არ იბრუნო პირი მერე,
საბოლოოდ შემავედრე
ჩემთვის არარსებულ ღმერთებს.
კიდევ ერთხელ დამაჩოქე
ჩემი საქართველოს ერდოს,
სიყვარულით ამაჩქროლე
თუნდა ტკივილებიც მერგოს.
გამაგონე შენაყვარი
ცივი ბინულების ენა,
ბუხრის შუქზე გადმიშალე
ღმერთის წიგნი: „დედა ენა“.
ერთი ყანწიც ჩამოწურე
შენი ძველი ვენახიდან,
ჩემი ტკბილი დედულეთი
დამანახე გელათიდან.
მერე აღარა ვისურვო,
მეტი თხოვნა მე არ ვიცი:
ბედაური ფლატეს დადგეს,
რაშალ იქცეს მისი კვიცი,
ამ სიმართლეს მოვკიჟინებ:
მამული მაქვს დასაფიცი!

## დედა

დედულეთიდან მოტანილ ნერგებს
გარეულ პანტის,
მოჰყავთ სურნელი საოცარი
უმწიფარ მაყვლის.
მოჰყავთ ტკივილი ნაალრევად
წასული დედის,
და სიბერეში სიმარტოვე
მოხუცი მამის.
შორს არის მისი ფოთოლშლილობა
და მყნობის ხანა,
ისე შორია მოგონება
იმ ყრმობის თანა:
ჩუმი სევდაა უსასობით
დარჩენილ სახლის,
და როგორც დარდი, ტანაყრილა
ჯაგები, ანწლი...
ამოდის ბოლი.
საბოლოოდ განახლდა კერა:
კარებთან ჭრელი თავსაფრით,
ღიმილნანატრით
დამხვდება დედა!..

მერაბ მაისურაძე



## ელენე როტკევიჩი

მხატვრის პოეტურ სულსა და ბუნებაზე მიგვითითებენ ელენე როტკევიჩის ნამუშევრები, რომლებიც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ერთ-ერთ დარბაზში გამოიფინა. „ეს გამოფენა მამის ხსოვნას მივუძღვენი, მისი დაბადების 100 წლისთავს. მამამ შთამაგონა მხატვარი გავმხდარიყავი“ — ამბობს იგი. მამა, თავგამოდებული კოლექციონერი, თვითნასწავლი მხატვარი, ლიტერატორი და მეტად საინტერესო პიროვნება გახლდათ. მის კოლექციას ამშვენებს რუსი და დასავლეთ ევროპელი მხატვრების ნამუშევრები (მათ შორის მიხაი ზიჩის ორი უცნობი ტილოც) და ფილიგრანული ტექნიკით შესრულებული ანტიკვარული ნივთები. ამგვარ ატმოსფეროში გაზრდილი მხატვარი ქალის შემოქმედებითი მრწამსი, რასაკვირველია, ამ სფეროსკენ გადაიხრებოდა.

ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო ტექნიკუმის დამთავრების

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ ე. როტკევიჩი სამხატვრო აკადემიაში აბარებს გამოცდებს თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების განხრით. აქ ე. როტკევიჩი მხატვრულ ტექნიკურ საშუალებათა პროფესიონალურად ფლობას აზიარეს ცნობილმა მხატვარმა ვ. შუხაევმა, ს. ქობულაძემ, კ. სანაძემ... 1957 წლიდან ე. როტკევიჩის ნამუშევრები რეგულარულად გააქვთ გამოფენებზე. იგი მხატვართა კავშირის წევრია.

მხატვარი ქალის სურათებზე ალბეჭდილი სამყარო თავისი თემატიკით მრავალფეროვანია. ზეთით შესრულებულ ტილოებზე ვხედავთ ნატურმორტს, პეიზაჟს, პორტრეტს. მაგრამ ე. როტკევიჩი თავის მთავარ მოწოდებად / მაინც ნატურმორტს თვლის. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სულ 15 ნატურმორტი სამ თემაზე: ყვავილები, ანტიკვარული ნივთები და ხილი (ყოფით საგნებთან ერთად). ე. როტკევიჩი ნატურმორტის ხასიათს გამომხატველობის საშუალებებს უსადაგებს. მისი დიდი ზომის „ანტიკვარული ნატურმორტები“ ოქროსფერ ჩუქურთმოვან ჩარჩოებშია ჩასმული და უმეტესად მოყავისფრო-მოოქროსფერო გამაში გადაწყვეტილი გვევლინება. „ყოფითი ნატურმორტები“ კი უფრო თავისუფალი მანერით არის შესრულებული, თუმცა მხატვარი აქაც არ გამოდის ტრადიციული რეალისტური ფერწერის ჩარჩოებიდან. მხატვრის „ყვავილთა სამყარო“ თავისებურ ლირიულ ინტონაციას ანიჭებს მის შემოქმედებას: პალიტრა ნათელია, ჭარბობს ნაზი ყლერადობის ტონები. ავტორს ზოგჯერ ღია ფონზე კაშკაშა ტონთა აქცენტებიც აინტერესებს. ამასთან ერთად, იგი თითქმის ყველგან ხელშესახებად ავლენს გამოსახულ საგანთა ფაქტურას. აღსანიშნავია, რომ მხატვარი ქალის ოჯახი ჭეშმარიტად ხელოვანთა ოჯახია, აქ ყველა ღრმა სიყვარულით არის განმსჭვალული სახვითი ხელოვნებისადმი. ეუდლე რევაზ ცუცქირიძეც გამოჩენილი მხატვარია, ვაჟებიც დედ-მამის კვალს გაყვნენ... მოდის თაობა და გულით მიჰყვება წინამორბედთა არჩეულ გზას.

შემოქმედის კამერულმა, თბილმა გამოფენამ კოლეგათა და სტუდენტთა დიდი მოწონება დაიმსახურა. საყურადღებოა, რომ თავის შემოქმედებით მოღვაწეობას ე. როტკევიჩი მშვენივრად უთავსებს ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას; იგი, ათი წელია, ფერწერას ასწავლის თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ამ მხრივ მისი დამსახურება უდავოა.

მაია იზორია



ნატურმორტი წიგნებით



კესანე



იაპონური ნატურმორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**შალვა ამონაშვილი,**
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი.

## წერილები ჩემს ქალიშვილს

# „გონიერსა მწვრთნელი უყვარს“

(მეხუთე წერილის გაგრძელება)

„რად მინდა მათემატიკა! რად მინდა ქიმია! რად მინდა ფიზიკა!“გონიერსა მწვრთნელი უყვარს“. დაგავიწყდეს ყველაფერი, რაც ამ „რად მინდა“ გაკვეთილებზე ისწავლე. გგონია არაფერი დაგრჩება? — დაგრჩება გადასტრუქტურებული, სააზროვნოდ მომართული ტვინის უჯრედები, დაგრჩება მრავალმხრივ განვითარებული უნარი შემოქმედებითი შრომისა. ვისაც არ უნდა ჰკითხო, არავის ეხსომება ის ლექსები და მოთხრობები, რასაც საბავშვო ბაღში ან დაწყებით კლასებში ასწავლიდნენ. იქნებ ცუდს აკეთებდნენ მასწავლებლები? რად ასწავლიდნენ იმას, რაც უთუოდ დავიწყებას მიეცემოდა? — იმიტომ, რომ ამ სწავლით, ამ ლექსებითა და მოთხრობებით გონება ვითარდებოდა, აზროვნების ნაპერწკალი ღვივდებოდა. არც არავის უფიქრია, რომ სამოცი წლის კაცი სკამზე შედგება და თავის დაბადების დღეზე მოსულ სტუმართა გასახარად ხელების გაშლით წარმოთქვამს საბავშვო ბაღში ნასწავლ ლექსს: „ყაყაჩოსა სიწითლითა ყანა დაუმშვენებია...“ ტყუილად გვგონია რომ სკოლა ცოდნის დიდი საწყობია, და იქ მოსწავლეები იმიტომ მიდიან, რომ ყველამ თავთავისი წილი აიკიდოს, რაც შეიძლება ბევრი. ურთიერთობა მასწავლებლებთან, ცოდნასთან, ერთმანეთთან და ამ ურთიერთობაში საკუთარი ძალების, შესაძლებლობების განვითარება — აი ყველაზე დიდი განძი, რაც ახალგაზრდას სკოლამ უნდა შესძინოს. „გონიერსა მწვრთნელი უყვარს“. დაეხმარე მასწავლებელს, რომ შეგაცნობინოს საკუთარი თავი და მაშინ უფრო სრულად განვითარდები. სწორედ ამ განვითარებას გამოაქვს სკოლიდან ცოდნაც, იმდენი, რამდენიც მოსწავლეს მონდომებამ და მუყაითობამ შეაძლებინა. სწორედ ეს განვითარება და მასზე დამყნობილი ცოდნა გაუკვალავს მას შრომის, შემოქმედების გზას...

იმით დავიწყე, თერთმეტწლიანი გზის ზოგი მონაკვეთი შეგვეძლო უკეთ გაგვევლო მეთქი.

ვინ იყო, თუ იცი, „უჩინარა“, შენ რომ ზღაპრების წიგნებსა და წერილებს გიგზავნიდა? პირველ კლასში იყავი, როცა პირველად გამოგიგზავნე ზღაპრების წიგნი და „უჩინარას“ წერილი. შენ გაიოცე. წიგნები წაიკითხე და „უჩინარას“ ახალ ამანათს მოუთმენლად დაუწყე ლოდინი. წიგნები „უჩინარასაგან“ მთელი წლის განმავლობაში მოგდიოდა. რატომ მოვიქეცი ასე? იმიტომ, რომ კითხვის ინტერესი და წიგნის სიყვარული გაგჩენოდა. რომ დაგვეძალებინა, გინდა თუ არა წიგნები იკითხეო, ვაი, თუ მაშინ, პირველკლასელ მოწაფეს, სულაც გული აგცრუებოდა წიგნებზე, რადგან კითხვა გიჭირდა. იმ ხანებში, მართლაც, ხალისით კითხულობდი წიგნებს. მაგრამ, აი, მეხუთე-მეშვიდე კლასებში შენ წიგნების კითხვას მოეშვი. ჩვენც ამისთვის საგანგებო ყურადღება არ მიგვიქცევია. დედა წუხდა, რა ვქნათო. სამწუხაროდ, არც სკოლაში ლიტერატურის გაკვეთილებზე იქმნებოდა ისეთი ვითარება, რომ მასწავლებელს კითხვისათვის წაექეზებინე. ასე გაგრძელდა ორი-სამი წელი; — ნაცვლად იმისა, რომ ამ ხნის განმავლობაში ოცდაათი-ორმოცი წიგნი მაინც წაგეკითხა, სულ ალბათ ათი-თხუთმეტი წიგნი წაიკითხე. დედამ ბოლოსდაბოლოს, თავისი გაიტანა — გაიძულა გეკითხა წიგნები, გირჩევდა წიგნებს, გესაუბრებოდა წიგნებზე და შენში ისევ გაიღვიძა კითხვის ინტერესმა. მაგრამ ის დრო ხომ გაგექცა. კითხვის შესუსტებამ ხომ გაალარიბა შენი მაშინდელი ცხოვრება? რაც V—VII კლასებში უნდა წაგეკითხა, ახლა ხომ იმ რომანტიკით აღარ წაიკითხავ?! რასაც მაშინ ის წიგნები შესძენდა შენს საერთო განვითარებას, ახლა ხომ ველარ შესძენს?! აი ამას ვნანობ — არ უნდა გაგვსხლტომოდა ის ორ-სამწლიანი პერიოდი და ყველა კეთილი პედაგოგიური საშუალებით უნდა შეგვეწყო ხელი შენთვის, რომ გეკითხა წიგნები. ასე, ჩემო შვილო, წიგნებთან ვალში ხარ, ამიტომ უფრო მეტად იკითხე წიგნები!

შენი სასკოლო ცხოვრების პიონერული და კომკავშირული პერიოდები არ იყო შინაარსიანი. მახსოვს, ერთხელ სკოლიდან გვიან დაბრუნდი — რადიოხაზი გვქონდაო. მაგრამ რას მიეძღვნა იგი, როგორ ემზადებოდით ამ ხაზისათვის, რა გადაწყვიტეთ, — ამაზე ვერც შენ და ვერც შენმა ამხანაგებმა ვერაფერი მითხარით. თურმე პიონერხელმძღვანელმა უცბათ გამოგიცხადათ: ყველანი ეზოში შეგროვდით, რადიოხაზი გვაქვსო. ეზო პიონერებით გაივსო, იდგა ერთი ჟრიამული; რადიოხაზიც ისე დამთავრდა, რომ შეკრების მიზეზი ვერავინ გაიგო... მერე და მერე შენ ყელსახვევის ტარებაც არ გინდოდა, შენც და შენს ამხანაგებსაც ჩანთით დაგქონდათ ყელსახვევი. არ ვიცი, ეს მარტო შენს სკოლაში იყო თუ სხვაგანაც ასეა — მეჩვენება, რომ შესუსტდა პიონერული მოძრაობა. არ მახსოვს, რომ ერთხელ მაინც საგონებელში ჩავარდნილიყავი რაზმის ან რაზმეულის საბჭოს მიერ მოცემული დავალების გამო. არც რაზმის შეკრებები გქონდათ მაინცდამაინც ხშირი და საინტერესო. განა არა, მინდოდა მივსულიყავი მაშინ თქვენს უფროს პიონერხელმძღვანელთან და მეთხოვა, რომ უფრო აქტიურად ჩაები პიონერულ საქმიანობაში. მაგრამ მომერიდა, ვიფიქრე, არ ეგონოს, ვითომ ჩემს შვილზე საგანგებო ზრუნვას ვთხოვ მეთქი. ახლა კი ვნანობ: უნდა მივსულიყავი და მკაცრადაც მეკითხა — „რატომ არის ასე მოფუშული სკოლაში პიონერული ცხოვრება, რატომ არა აქვს ჩემს ქალიშვილს სერიოზული პიონერული დავალებანი, რატომ არ ეხალისება მეშვიდეკლასელი გოგო-ბიჭების უმრავლესობას წითელი ყელსახვევის ტარება?“ მე თვითონ ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობა პიონერხელმძღვანელობით დავიწყე და კარგად ვიცი, რომ ბავშვები თავდავიწყებით ეძლევიან რომანტიკულ საქმიანობას, მოსწონთ და უყვართ პიონერული ცხოვრება, ოღონდ პიონერხელმძღვანელსაც უნდა უნდოდეს და ეხალისებოდეს ბავშვთა ბელადობა... მეცხრე კლასში კომკავშირელი გახდი. ერთხელ შინ დიდად გახარებული დაბრუნდი: რაზმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელმძღვანელობა დამავალეს, გვიყვებოდი შენს სასაცილო პატარებზე. ათასნაირ გეგმებს აწყობდი — ლაშქრობაში წავიყვან, პოეტებთან შეხვედრას მოვუწყობ, ხეებს დავრგავთო. რა კარგი იქნებოდა, რომ ყველაფერი ეს მართლაც გაგეკეთებინა, კარგი იქნებოდა შენთვისაც და შენი პიონერებისთვისაც. მაგრამ მალე მიგავიწყდა პიონერები. როგორც მერე გავიგე, სკოლაში კომკავშირელებს მარტო დავალებების მიცემა სცოდნიათ, იმას კი აღარ კითხულობენ, ვინ როგორ ასრულებს მიცემულ დავალებას, არც ერთმანეთს აქეზებენ დავალების შესასრულებლად. მაშინაც კარგს ვიზამდი, რომ მოვსულიყავი სკოლის პარტორგანიზაციის მდივანთან და მეთქვა: „მე ჩემი შვილის მაგალითით ვხედავ, რომ სკოლის კომკავშირული მუშაობა ხალისიანი, შინაარსიანი არ არის, ახალგაზრდები არ გრძნობენ კომკავშირულ პასუხისმგებლობას, რატომ? ამის შემდეგ, ალბათ, ისევ სერიოზულად გააგრძელებდი პიონერებთან მუშაობას და იქნებ სწორედ აქ აღმოცენებულიყო შენში პედაგოგიური პროფესიისადმი ინტერესი. ძალიან გულსატკენია, რომ შენი პიონერული და კომკავშირული ცხოვრება სკოლაში ასე უფერული აღმოჩნდა. ამან ბევრი რამ დაგაკლო: არ გაგივითარდა ორგანიზატორული უნარი, საზოგადოებრივი აქტივობის ჩვევები, გერიდება საჯაროდ გამოსვლა, შენი ურთიერთობის წრეც უფრო დავიწროვდა. ყველა პიონერი, ვისაც შენ უხელმძღვანელებდი, მომავალში ხომ შენი ნაცნობი ან მეგობარიც გახდებოდა? ისინი კი, სულ ცოტა, ოცდაათნი მაინც იყვნენ. აი ეს ოცდაათი მეგობარიც დაკარგე.

ასევე გულგრილად ვუყურებდით შენს შრომის გაკვეთილებს. თითქოს რაღაც რვეულიც გაიჩინე — შიგ ჭრა-კერვისა და კერძების დამზადების რამდენიმე პროცესიც იყო აღწერილი. თითქოს გაკვეთილებზე რაღაცას კულინარობდა, მაგრამ სულ უფრო-დაუფრო ნათელი გახდა, რომ შენც და შენი ამხანაგებიც არასერიოზულად ეკიდებოდით შრომის გაკვეთილებს. რა ხდებოდა ამ გაკვეთილებზე? გამოაცხობდით ნამცხვრებს. მერე? — შესთავაზებდით თანაკლასელ ბიჭებს. იმათ კი სიცილადაც არ ჰყოფნიდათ მათი გემოც და ფორმაც. თითხნით რაღაცასო, გეუბნებოდნენ. იმისთანა ნამცხვრებს, რასაკვირველია, არცერთი თქვენგანი შინ პირსაც არ დააკარებდა, იქ კი თქვენვე ჭამდით, რადგან გშიოდათ. კერძების დამზადება შენ ბებიებმა და დედამ გასწავლეს. შენ როცა „ბლინებს" აცხობ, მე და ძმა თავზე გადგავართ, რომ ჩქარა გაგვასინჯო. როცა აჯაფსანდალს აკეთებ, სწორედ მაშინ მოგვშივა ხოლმე ყველას. მაგრამ, აი, ტორტისთვის მოზელილი ცომი ყოველთვის კუტი ცხვება, თუმცა კრემი არაჩვეულებრივი გამოგდის. კერვაც ბებიამ გასწავლა, ქსოვაც. მაშ, რაღა იყო შრომის გაკვეთილები, თანაც დაწყვილებული, ზოგჯერ დღეში ოთხ-ოთხი? მიჭირს წარმოდგენა. ალბათ ერთობოდით, ატარებდით დროს, საუბრობდით ყველაფერზე, იქნებ ხანდახან კიდეც აცდენდით ამ გაკვეთილებს („მაინც არაფერს ვაკეთებთ"). კარგი კი იქნებოდა ამ გაკვეთილებზე გესაუბრათ ოჯახში ქალის როლზე, ოჯახის მოვლასა და გაძღოლის მეცნიერებაზე, საოჯახო ბიუჯეტსა და ეკონომიკაზე, ყაირათიანობაზე, პროდუქტებისა და პურის გაფრთხილებაზე, ოჯახის წევრებთან ურთიერთობაზე, დედობასა და შვილების აღზრდაზე, სტუმრის მიღებასა და სტუმრად წასვლაზე. და, რა თქმა უნდა, ყველაფერ ამასთან ერთად, დაე, ჩაგეწერათ კერძების რეცეპტებიც, ჩაგეწერათ დროც, რამდენ წუთში მზადდება ესა თუ ის კერძი, რომლის მომზადება რა შემთხვევისთვის არის უკეთესი. ერთხელ შინ წინსაფრის კერვა დაიწყე. „ხომ გაქვს წინსაფარი?" — გკითხა დედამ, „მასწავლებელმა დაგვავალა!" სასაცილო წინსაფარი გამოვიდა, იმით სკოლაში როგორ წახვიდოდი! მაგრამ უბედურება ის იყო, რომ წინსაფარი საერთოდ გადააგდე და არც მასწავლებელი შეწუხებულა, როგორ შეასრულეთ ჩემი დავალებაო. დიახაც, უნდა გესწავლათ შრომის გაკვეთილებზე ლამაზი კაბების შეკერვა და თითოეულ თქვენგანს საკუთარი ხელით შეკერილი ერთი-ორი კაბა მაინც უნდა ჰქონოდა. უნდა გესწავლათ კარგი ქარგვა, ტანსაცმლის გადაკეთება, განახლება. ისიც უნდა გესწავლათ, რომ კერძის მომზადების, კერვისა თუ უთოობის შემდეგ ყველა ნივთი თავის ადგილს უნდა დაუბრუნდეს, ყველაფერი უნდა მოწესრიგდეს. ეს სრულფასოვანი, კეთილშობილური შრომის აუცილებელი ნაწილია. აბა, რას ემგვანება: მისრიალებს ქალიშვილი ქუჩაში ლამაზად დაუთოებული კაბით, ხოლო შინ უთო ჩართული დარჩენია, მაგიდაზე დასაუთოებლის ქვეშ გაფენილი მაუდი იქვე მიუტოვებია, არც შეუმჩნევია, რომ უთოობის დროს მიშხეფებული წყლით იატაკიც დაუსველებია. გარეთ იტყვიან — რა პეწიანი ქალიშვილიაო, შინ კი იტყვიან — რა დაუდევარი და უზრუნველი გოგოაო. რაც უნდა მომქანცველი და უსიამოვნო იყოს ესა თუ ის შრომითი პროცესი, ქალიშვილმა ის თავიდან ბოლომდე ესთეტიკურად, ოსტატურად, ფაქიზად უნდა შეასრულოს, შრომითი საქმიანობით გართული ქალიშვილის ყურება ისევე უნდა ახარებდეს თვალსა და გულს, როგორც მაღალხელოვნური თეატრალური სანახაობა, როცა გავიწყდება კიდეც, რა დიდ ძალებს ხარჯავს მსახიობი, რომ ეს სიხარული მოგანიჭოს. ძალიან უგემური იქნება კერძი, რომელსაც ბუზღუნით გიმზადებენ, გაყვედრიან, წინ უხეშად დაგიდგამენ; მაგრამ ათასჯერ უფრო გემრიელად მოგეჩვენება იგი, როცა გრძნობ, რომ მას შვილი შენთვის ზრუნვით ამზადებს, ლაზათიანად მოგართმევს, წინ დაგიჯდება და თვალებში შემოგხედავს — მოგეწონა თუ არაო. შრომის ფილოსოფია, ესთეტიკა, საზოგადოებრივი ღირებულება, ქალის შრომის თავისებურებანი — აი რა საიდუმლოებებს უნდა ჩასწვდომოდით შრომის გაკვეთილებზე. შრომის სიყვარული, შრომის მოთხოვნილება, მშრომელი ქალის პასუხისმგებლობის განცდა — აი რა თვისებები უნდა აღეზარდა შენში და შენს ამხანაგებში შრომის გაკვეთილებს. და ისევ სინანულს ვუნდები — რატომ მე, როგორც მშობელმა, არ მოვთხოვე სკოლის ხელმძღვანელობას: „რა ხდება მაგ შრომის გაკვეთილებზე? ნაცვლად იმისა, რომ ეს გაკვეთილები შრომის დიდებად იქცეს, შრომის პაროდია ხდება! რატომ ქალიშვილები ოთხ წვეთ ოფლს მაინც არ ღვრიან ამ ოთხსაათიან გაკვეთილებზე, რატომ არ განიცდიან ისინი შრომის შედეგის სიხარულს, შრომით გამოწვეული დაღლის სიამოვნებას?" ეს სინანული წარსულს ვეღარაფერს უშველის, მაგრამ იქნებ იმად მაინც ღირდეს, რომ უფრო ბეჯითად გავყვეთ ურყევ კანონს: შრომამ შექმნა ადამიანი, შრომა დღესაც ჰქმნის ადამიანებს, თითოეულს ცალ-ცალკე; შრომა უმთავრესი გზაა, რომ აღზარდო, გარდაქმნა, ჩამოაყალიბო საკუთარი თავი, დაიმკვიდრო საზოგადოებრივი ღირსება. შრომა ალამაზებს კიდეც ადამიანს. ქალიშვილი მაშინ კი არ არის ყველაზე ლამაზი და მომხიბვლელი, როცა სავარძელში ჩასვენებული, ფეხი ფეხზე გადადებული, უცხო კაბით გაამაყებული, ფერუმარილით გაფერადებული სალონურ საუბარს ეძლევა და თან თვალებს აჟუჟუნებს, არამედ მაშინ, წინსაფარაფარებული, მკლავებდაკაპიწებული, თავზე ხილაბანდწაკრული სხარტი და ელეგანტური მოძრაობით ალაგებს ბინას და არც ფიქრობს, როგორ მოაწონოს ვინმეს თავი...

მაშ ასე, გავიდა თერთმეტი წელიწადი. ვხედავ, ძალიან გიხარია სკოლის დამთავრება. გიხარია იმიტომ, რომ ახალ ცხოვრებაში შედიხარ, და, რაც მთავარია, არ გეშინია ამ ახალი ცხოვრების, სავსე ხარ მომავლის რწმენითა და იმედით. ჩვენც გვიხარია, რომ ქალიშვილმა საშუალო სკოლა დაამთავრა და ჩვენც სავსენი ვართ იმ რწმენითა და იმედით, რომ შენი მომავლის ფიქრები არ იქნება ღარიბი და უსარგებლო ჩვენი ქვეყნისათვის.

ვის დავუმადლოთ დღეს, თუ რამ კარგია შენში?

— რა თქმა უნდა, მასწავლებლებს; უპირველესად დედას, როგორც უზენაეს მასწავლებელს, შენი სულისა და გულის საწყისს, მერე კი — კეთილ ადამიანებს, რომლებიც იშვიათი მოთმინებით ამდიდრებდნენ და აფაქიზებდნენ შენს სულსა და გულს. გონიერსა მწვრთნელი უყვარს, შვილო! ამიტომ დავხაროთ თავი მდაბლად და დადინჯებული გონებით წარმოვთქვათ: „გმადლობთ, მასწავლებელო, მოთმინებითი სიყვარულისა და ამაგისათვის!"

ტკბილ ძილს გისურვებ, ჩემო ძვირფასო, და თუ მაინცდამაინც სიზმარს ნახავ, კეთილად გადაგელახოს ცხრა მთა და კეთილად გადაგეცუროს ცხრა ზღვა!

შენი მამა

ეროვნული ბიბლიოთეკა



თინა ზარგინავა

# ღია წერილი მეზღვარს

ჩვენი მეგობრობა ოცდაათ წელს გასცდა. მარცვალ-მარცვალ აკრეფილი ურთიერთობა გოლიათ გრძნობად იქცა და ორივეს გვეხმარება თანადგომაში, ტკივილებისა და სიხარულის თანაგანცდაში.

აფხაზეთში შევიყარენით. თვითონ ჯერ კიდევ ახალგაზრდები, ერთად მივდევდით ახალგაზრდების აღზრდის რთულ და ძნელად სავალ გზას: აკაკი ქვარცხავა, სერგო რიგვავა, გივი ურიდია, ქეთო კოკაია, დიმა ხვაიცკია, რაჟდენ ხინკუბა, შოთა შაკაია, ლიდა სორდია, გივი ქაჯია... შორს არიან თუ ახლოს, მათი ნათელი ცხოვრება სარკესავით მიდგას თვალწინ და დიდი ხნის შემდეგაც ხშირად ვიხედები ამ სარკეში, რომ დავინახო სიხარულითა და სითბოთი განათებული ღირსსახსოვარი სახეები.

მათ შორის ერთ-ერთი ყოვლად პირველი იყავი მუდამ ჩემთვის შენ, ნაზო კაჯარავა — პიონერული და კომკავშირული მუშაკი, ანთებული, დაუოკებელი სულის ადამიანი. მიკვირდა და მაინტერესებდა, რა გაძლევდა ძალას მუდამ სხვისთვის გზის მანათობელი, სიკეთის ქმედების ცეცხლად მოგიზგიზე ყოფილიყავი.

რამდენჯერ მიგიტანია შენი ლამაზი სახე დედაჩემის გულთან, რომ ახლოს გეგრძნო ბავშვობაში დაკარგული დედისმაგიერის გულის ფეთქვა; რამდენჯერ დამიკოცნია შენთვის ცრემლით სავსე თვალები.

შენ ამბობდი მაშინ, რა სულზე მომისწარიო... მე კი მგონია, შენც მომისწარი სულზე. იმიტომ რომ ჩემთვისაც და ალბათ ყველასათვის, ყოველი ახალი ადამიანის თავისთვის აღმოჩენა და მეგობრად დაგულება ყოველთვის სულზე მისწრებაა.

ასე შევეთვისეთ ერთმანეთს. დამენანა აფხაზეთისა და ტოლ-სწორების დატოვება. შენ მაინც სულ ჩემთან იყავი შენი სიმხნევით, შენი ოპტიმიზმით და ცხოვრებისადმი ძალიან ამაღელვებელი და ფილოსოფიური დამოკიდებულებით. მაგრამ ყველაზე მეტად მე შენი პირადი ცხოვრებით ვიყავი აღფრთოვანებული, რომელიც მუდამ საზოგადოებრივი ცხოვრების სიმაღლის დონემდე იყო ასული.

როცა დრომ მოიტანა, როცა დადგა არჩევანი, ვინ აგერჩია ცხოვრების თანამგზავრად: ის, ვინც ყოველ დღე შენთან იქნებოდა და გვერდში ამოგიდგებოდა, მყუდრო, მშვიდ ოჯახურ გარემოს შეგიქმნიდა თუ ის, ვის ნახვასაც მარადჟამს მონატრებული იქნებოდი, რადგან მამულიშვილური ვალის მოსახდელად იგი წელიწადის მეტ დღეებს ხმელეთზე არ იმყოფებოდა, უშიშრად მიაპობდა ცისფერ სტიქიონს, ზღვებსა და ოკეანეებს; ის, ვისაც იმ ხანად უკვე ამშვენებდა ძლევამოსილი ყინულმჭრელ „სიბირიაკოვის", "სევერნოე სიანიეს", „ლენსოვეტის", „სალკოს", „ილია მურომეცის", „ლევანევსკის", „ბაიკალის", „თბილისის" მამაცი კაპიტნის დიდებული სახელი.

შენ მეორე არჩიე. ბარაქალა შენს დიდ ქალობას და მოქალაქეობას, ბარაქალა შენს გააზრებულ ცხოვრებას!

სულ გზას ადექი სოხუმსა და ჩრდილოეთის ნავსადგურებს შორის. ერთხელ არ გამოგითქვამს წყენა და სინანული, რადგან წელიწადში რამდენიმე დღეს საყვარელ მეგობართან, ანატოლი კაჯარავასთან შეხვედრა შენთვის ბედნიერების ყველაზე მაღალი მწვერვალი იყო.

მახსოვს, მურმანსკში საცხოვრებლად გადასვლამდე, რომ შეგეკითხე: რა გაგაძლებინებს შორეულ ჩრდილოეთში მეთქი.

ანატოლი კაჯარავას ნაპირზე დაბრუნების მოლოდინით, — მითხარი დაუფიქრებლად.

შენმა ლამაზმა ცხოვრებამ გაიმეორა იმ მეუღლეთა და ცხოვრების თანამგზავრთა ერთგულება, რომლებიც ჩვენს დროშიც და წარსულშიც რგებიათ სამშობლოს უკეთეს შვილებს, ქვეყნისა და ხალხის სამსახურისათვის თავდადებულ ვაჟკაცებს.

ნაცად პოლარულ მეზღვაურს, შორეული ნაოსნობის კაპიტანს და დიდ მოქალაქეს ანატოლ კაჯარავას მას შემდეგაც სჭირდებოდა თანადგომა და შენი დიდი მხარდაჭერა, რაც საქართველოს საზღვაო სანაოსნოს პირველი მეთაური გახდა.

აბა წარმოვიდგინოთ მე და შენ ჩვენი საყვარელი ანატოლი, დიდად ერუდირებული და ღრმად ინტელექტუალური, გამოცდილი მებრძოლი და მოქალაქე ჩვეულებრივი ოჯახის დიასახლისის ამარა! შესძლებდა საათობით მასთან ურთიერთობას, „მაღალ მატერიებზე" სჯა-ბაასს, რაც ასე უყვარდა კაპიტანს?!...

კაჯარავასაგან შენ იღებდი ცხოვრების ბრძნულ გაკვეთილებს, როგორ უნდა ცხოვრობდეს მამულისათვის თავგანწირული ადამიანი.

კაჯარავა შენგან იღებდა გაკვეთილს, როგორი უნდა იყოს ცხოვრების თანამზავრი და მეგობარი, გულისა და სულის თანაზიარი.

ასე ავსებდა ერთმანეთის ბუნებას, სულიერ სამყაროს ორი სხვადასხვა ხასიათის, ფსიქიკური წყობის ადამიანი, განუმეორებელი საკუთარი პიროვნული და ადამიანური თვისებებით. თქვენ ერთმანეთს ერთ მთლიანად შერწყმული და შეერთებული იყავით.

ბარაქალა შენს ენერგიას, დიდი ოჯახის მოვლასთან, სამსახურთან, სტუმარ-მასპინძლობასთან ერთად რომ შესძელი თვალი გაგესწორებინა ეპოქის სიმაღლეებისათვის, თანამედროვეობის დონემდე ამაღლებულიყავი და ქვეყნისა და საქართველოს სამსახურისათვის ქედუხრელ ვაჟკაცს ასეთი ვაჟკაცური ქალობითა და ქალური მომხიბვლელობით გვერდში ამოდგომოდი.

ერთი ლირიკული გადახვევის უფლებაც მომეცი. ნუ გეწყინება, ასეთ ინტიმურ ურთიერთობასაც რომ გამოვიტან სააშკარაოდ.

შენამდე მას ჰყავდა მეუღლე და ცხოვრების თანამგზავრი, რომელსაც იგი დიდად პატივს ცემდა. იცოდი შენ, არ შეიძლებოდა კაჯარავას გულზე ნაჭდევად არ ჰქონოდა დამჩნეული ამ ქალის ტრაგიკულად დაღუპვის ამბავი. მისი სურათი ანატოლ კაჯარავას საყვარელი წიგნების გვერდით შენი ხელით მოათავსე და დღესაც იქ დევს.

მძიმე სენით შეპყრობილი კაპიტანი, ფიქრებში ჩაღრმავებული, ხშირად იგონებდა წარსულის ქარიშხლიან დღეებს, ქალური ინტუიციით იგრძენი: ინტიმური ცხოვრების სურათებიც ამოტივტივდებოდა ალბათ მის ცნობიერებაში. ლითონისაგან გამოჭრილი საყვარელი „სიბირიაკოვის" გვერდით გაჩ-

ნდა ლითონზევე ამოკვეთილი იმ ქალის დიდი სურათი...

ეს უკვე გასაოცარი ნაბიჯი იყო. ეს საკუთარ თავზე გამარჯვება იყო. შენი ასეთი კეთილშობილური და დიდბუნებოვანი საქციელი ავადმყოფ კაჭარავას სულიერ სამყაროს მისწვდა, ხელზე გაკოცა და ჩაგიკრა. ეს შეგეძლო მხოლოდ შენ — პირადზე მაღლა საყვარელი ადამინის თუნდაც წუთიერ და გარდამავალ სიამოვნებას რომ აყენებდი.

როგორ შეიძლებოდა ცუდ გუნებაზე დახვედროდი სამსახურიდან დაბრუნებულ კაჭარავას. შენ იცოდი კარგი განწყობილება, ოჯახური მყუდროება ნიშნავდა ისეთი ფსიქოლოგიური ფონის შექმნას, რომელიც ხვალ მუშაობისათვის ძალასა და ენერგიას შემატებდა შენს მეგობარს.

კაჭარავას ბობოქარი ცხოვრება, ზღვასთან, ცისფერ სტიქიასთან შებმა გრძელდებოდა საქართველოში ჩამოსვლის შემდეგაც. საქართველოს პირველი სანაოსნოს შექმნა ცარიელ ნიადაგზე, ამ სანაოსნოს გაძღოლა, შორეული ნაოსნობის ხომალდების მომზადება მორალურად, ფიზიკურად, ორგანიზაციულად დიდ ძალას და ენერგიას მოითხოვდა, სხვაც ბევრი საპასუხისმგებლო და სერიოზული საზოგადოებრივი დავალება ჰქონდა შესასრულებელი.

აქაც მტკიცედ ეპყრა კაპიტანთა კაპიტანის სანაოსნოს პირველი მეთაურის საჭე. ადამიანებთან ერთიერთობაში ხვეწდა და სრულყოფდა მუშაობის გეგმებსა და ამოცანებს, გულისყურით ისმენდა და იზიარებდა მათ ნათქვამს. ამიტომაც, ადამიანის ინტერესებით იწყებოდა და ადამიანის ინტერესებითვე მთავრდებოდა კაჭარავას მოქმედება, ამიტომ სჯეროდათ მისი, სწამდათ და მიყვებოდნენ უყოყმანოდ.

შენც ხომ შენეული წვლილი მიგიძღვის ამაში. შენს სალ გონიერებას მუდამ ეყრდნობოდა კაჭარავა. შენი სიტყვა არასოდეს არ დაუგდია ძირს, რადგან შენი სიმაღლე კარგად ჰქონდა აწონილ-გაზომილი.

ერთადერთ ქალიშვილთან ახლოს ყოფნა მისი ყოველდღიური ცხოვრების ერთერთი დიდი ბედნიერება იყო, რადგან ამისთვისაც ძალიან ცოტა დრო რჩებოდა მას. დაიწყებოდა მამა-შვილის იშვიათი, მაგრამ ტკბილი და გულითადი ურთიერთობა, რომელიც დღესაც, უკვე ქმარშვილიანი ქალისათვის მკუის სახწავლებელია და გზის მაჩვენებელია.

შენ ყველაზე კარგად იცოდი კაჭარავას ხასიათის თითოეული ნიუანსი. იცოდი, ჩრდილოეთში და შორეულ ნაოსნობაშიც დიდი სითბოს გაღებისათვის არავის ეცალა. იცოდი, როგორი ფაქიზი სულის იყო კაჭარავა და უქმნიდი ოჯახურ თბილ გარემოს, მეგობრებსა და ახლობლებთან შეხვედრის ლამაზ გარემოს. ასეთ ვითარებაში იგი უხვად, ხარბად იღებდა და ღრუბელივით იხრუტავდა ამ სითბოს, ტკბებოდა და სული უამდებოდა.

ხშირად გითქვამს, ამის მოწმე ჩემს გარდა სხვებიც არიან, შენი ოჯახის მეგობრებში: რენა ხარიშვილი, ნანი გუგუნავა, ნინო ხახუტაიშვილი, ქეთო და თამარ ანჯაფარიძეები:

— ჩემსა და ანატოლს შორის ურთიერთობა გასცდა ჩვეულებრივ ცოლ-ქმრულ დამოკიდებულებას. თავიდანვე სულიერი მეგობრობის მყარ საფუძველზე აიგო და ასე მიდის ბოლომდე. ამიტომ შეგვრჩა ერთმანეთისადმი წმინდა სიყვარული და ღრმა ურთიერთპატივისცემა.

მე კი დავუმატებდი:

— ასეთი სიყვარული და პატივისცემა შვა და გააღრმავა შენმა უსაზღვრო თავდადებამ არა მარტო ადამიანის, მეუღლისა და ცხოვრების თანამგზავრის მიმართ, არამედ კაცური-კაცისა და შემართებული რაინდის მიმართ, ვინც თავდაუზოგავად, გაშიშვლებული ნერვებით იყო დაკავშირებული ყველაფერ იმასთან, რაც მას სიცოცხლეს ერჩია რაც დაიწყო 15 წლის ბიჭუნამ და სიცოცხლის დასასრულამდე მიუძღვნა თავისი თავი, სული და გული, მთელი კაცობა. ეს იმდენად ზეაწეული იყო, რომ ჩვეულებრივ სიყვარულზე ბევრად მაღლა იდგა და იქცა კიდეც უწმინდეს დაუძლეველ გრძნობად.

ამ შენს მაღალ სულიერ თვისებებს არც მერე მოკლებია წვეთი, როცა გონებამიხდილი, უცაბედად მოცელილი კაჭარავა სარეცელზე იწვა. საუკეთესო დასტაქრებთან, მეგობრებთან, ახლობლებთან ერთად იბრძოდი მისი გადარჩენისათვის, არც დღე და არც ღამე არ მოშორებიხარ მის გონებამიხდილ სხეულს.

ამიტომაც, კაჭარავა მოაბრუნა არა მარტო მსოფლიოს თითქმის ყოველი კუთხიდან მეგობრების მიერ გამოგზავნილმა მედიკამენტებმა, უებრო მკურნალობამ და ყურადღებამ, არამედ შენმა სითბომ, სიყვარულმა და მზრუნველმა ხელმა.

გადარჩა კაჭარავა... მაგრამ შენ უკვე იცოდი, ეს გადარჩენა არ იყო შეუპოვარი პოლარული მეზღვაურის ფიზიკური და გონებრივი არსებობის ტოლფასი. მაგრამ შენ ცას იყავი წეული, რადგან შენი სახოება და სანუკვარი ტოლიას. შენი სიყვარულისა და გულისტოლის სუნთქვა გესმოდა. მისი ლამაზი თვალების შუქი ანათებდა თქვენს ბინაში. დღენიადაგ ფეხზე იდექი, რომ მას არაფერი მოკლებოდა. ყოველთვის ეშველებოდა შენი მოამაგე, მოსიყვარულე გული და ხელი ანატოლ კაჭარავას: საქმეშიც, ყოფა-ცხოვრებაშიც. მაგრამ ამჯერად... სიკვდილმა არ დაინდო შენი ამაგი, ისიც დაგაკისრა თვალები დაგეხუჭა საყვარელი ადამიანისათვის.

გრთავდა მისი ფიზიკური სიცოცხლე... შენ დაკარგე ცხოვრების მეგობარი და გვერდში მდგომი ადამიანი, მაგრამ მხოლოდ ხორციელად, მისი ამაღლებული სულის ნამოქმედარი, მისი დიდი ცხოვრება შენში და თითოეულ ჩვენგანში დარჩა, დარჩა სამუდამოდ. ბედნიერია ის ერი და ქვეყანა, ვისაც ასეთი შვილები ჰყავს, ასეთი სახახელო და საამაყო.

მაისის იმ დღეს, მზის ჩასვლის ჟამს, როცა ზღვა ხალხი და მთელი საქართველო ეთხოვებოდა მის გაციებულ სხეულს, ნაპირს მოადგა შორეული ნაოსნობის გემი. საყვირის გულსაკლავი ხმით გამოეთხოვა ჩვენი ქვეყნის ყველა სანაოსნო გემების სახელით.

მალე ჩვენს ნავსადგურში ღუზას ჩაუშვებს შორეული ნაოსნობის ასეთივე გემი, რომლის ქიმს ეწერება: „ანატოლი კაჭარავა". ისევ გაგრძელდება კაპიტან კაჭარავას ქარიშხლიანი რეისები და მაშასადამე, მისი სიცოცხლეც.

შენმა გონიერებამ ამ დიდი ტკივილებისა და მწუხარების დროსაც განსაზღვრა, როგორ სათუთად უნდოდა ანატოლი კაჭარავას დიდ სახელს მოვლა და პატივისცემა. ამიტომაც ხარ დღესაც თავაწეული და ამაყი, გულისყურით კრებ და აგროვებ ყველაფერს, რაც ანატოლი კაჭარავას ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეხება.

მერე მოხდა ისე, რომ შენც მძიმე ავად გახდი, ისე არ გენაღვლებოდა უსაყვარლესი შვილი და შვილიშვილი — პატარა ტოლია, როგორც იმის წუხილი, იქნებ ვერ შევძლო ანატოლი კაჭარავას სურვილების ასრულებაო...

ანატოლს უნდოდა შენ — გამოცდილი და დაკვირვებული ადამიანი და გულისხმიერი პედაგოგი მეზღვაურთა აღზრდის საქმეს ბოლომდე გაყოლოდი. ბევრჯერ ისიც უნატრია, ჩრდილოეთის ყინულოვანი სივრცეებისა და იმ ადგილებისათვის მოევლო თვალი, სადაც ჩაეშვა ალამაფრიალებული ნაომარი „სიბირიაკოვი" და დაიღუპა ეკიპაჟის წევრთა უმრავლესობა.

წავიდეთო და წითელი ყვავილები ჩავყაროთ იმ ადგილას კარის ზღვაშიო, — გეუბნებოდა. ვერ მოიცალა ამისთვის..

შენ შეასრულე ანატოლი კაჭარავას ორივე სურვილი: სათავეში უდგეხარ პროფტექნიკურ სასწავლებელს, რომელიც ამზადებს მეზღვაურთა ღირსეულ ცვლას. დიდია შენი წვლილი მათი პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდაში. სანამ ზღვაში გავიდოდნენ გულდასმით აცნობ დიდი მეზღვაურისა და შეუპოვარი კაპიტნის გმირულ ცხოვრებას.

მძიმე ავადმყოფობისაგან ძლივს ფეხზე დამდგარი შორეულ ჩრდილოეთში გაემგზავრე, გემი „ბელორუსლესით" დაალექი აღთქმულ გზას. შენი ეს განუმეორებელი მოგზაურობა გულში ჩამწვდომად აქვს აღწერილი ჟურნალისტ ა. ტარადანკინს 1983 წლის 4 ოქტომბრის გაზეთ „პრავდის" ფურცლებზე.

...ყვავილებმა წითლად შეაფერადეს ცეცხლოვანი ბრძოლის ადგილები. დაბრუნებულმა კარის ზღვიდან წამოღებული წყალი მოასხურე კაპიტან კაჭარავას საფლავს.

რამდენი შეგძლებია! თვალყურს კი ვადევნებდი შენს სულიერ აღმავლობას, მაგრამ არ შემიმჩნევია, რა სიმაღლეზე ახულხარ!..



17.725
კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.
ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



სანიტარი მარიამ დავითაშვილ-მალანია

# სიყვარული სიყვარულის წილ

— რა კარგია, დღეს მორიგე სანიტარი ჩვენი მარგოა, — ამბობენ ავადმყოფები და მოუთმენლად ელიან. საყვედურის თქმას აქ ვერავის მიმართ მოახერხებთ, მაგრამ მარგო დეიდა მაინც სხვაა:

სამუშაო საათების დაწყებამდე ბევრად ადრე მოდის, ახალგაზრდასავით ცქრიალით შემოირბენს პალატებს, ყველა კუთხე-კუნჭულს დაათვალიერებს, დაასუფთავებს, ყველა ავადმყოფს მიაკითხავს, ყველას გასაჭირს შეიჭირვებს, დაუზარლად მოემსახურება, გაუღიმებს, გაეხუმრება, ახალ სასაცილო ამბავს ან ანეგდოტს მოყვება და რა გინდ შეწუხებული იყო, ტკივილს დაგავიწყებს.

რა დაუზარელი, ყოჩაღი, მხიარული ქალია! — ამბობენ მასზე, მაგრამ არავინ იცის ამ გარეგნულად მხიარულ ქალს რა შრომა, ტანჯვა-წვალება და მწუხარება აქვს გამოვლილი.

მარიამ ნიკოლოზის ასულ დავითაშვილ-მალანიას კარგი არაფერი აქვს მოსაგონარი. იგი 1910 წელს დაიბადა თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ყბიხში. მშობლები ღარიბები და წვრილშვილიანნი იყვნენ. ამიტომ 13 წლის გოგონა გაათხოვეს: ქმარი წავკისელი იყო. იქაც გაუმართავი და ხელმოკლე ოჯახი დაუხვდა. დიდი ჯაპანწყვეტით შეუდგნენ მეუღლეები ოჯახის მოწყობას; ძლივს შეებით ამოისუნთქეს. და ამ დროს მარგოს ქმარი დიდ სამამულო ომში გაიწვიეს. იგი ქერჩთან გაათრებულ ბრძოლებში დაიღუპა. მალე ერთადერთი ვაჟიშვილიც გამოსტაცა ხელიდან ულმობელმა სიკვდილმა.

სრულიად ახალგაზრდა მარიამი მარტოხელა დარჩა. მაგრამ ახალი ოჯახის შექმნაზე აღარც უფიქრია, შვილად ძმისწული გაზარდა და მეუღლის კერა არ გაუცივებია. იგი ღირსეულად და სახელოვნად ატარებს ქართველი ქალის წმინდა მანდილს. მართალია, განათლება არ მიუღია, მაგრამ სადაც კი უმუშავნია, რომელ კოლექტივშიც კი ყოფილა, ერსად შეურცხვენია ღირსეული ქალის სახელი.

ოვა წელიწადი წავკისის სკოლაში იმუშავა დამლაგებლად, 15 წელი — ოჯორის ძალ-სახსართა ტუბდისპანსერში სანიტრად. 1968 წლიდან, პენსიაზე გასვლის შემდეგ კი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საავადმყოფოში მუშაობს, სადაც, ჰოსპიტლის გახსნის შემდეგ მის თერაპიულ განყოფილებას ემსახურება.

უცქერით ამ ხანდაზმულ ქალს და გიკვირთ: სადა აქვს ამდენი ენერგია, რომ ასეთი მონდომებითა და პასუხისმგებლობით ეკიდება თითქოს უბრალო, მაგრამ მეტად საჭირო და აუცილებელ საქმეს.

მარიამს უსაზღვროდ უყვარს თავისი საქმე, თავისი კოლექტივი, რომელსაც საკუთარ ოჯახად თვლის. სწორედ ეს არის მისი მონდომებისა და ენერგიის წყარო. ის არც თავის კერას აკლებს მზრუნველობასა და ყურადღებას. სამუშაოზე საქმეს მორჩება თუ არა, კმაყოფილი, აჩქარებული ნაბიჯით მიეშურება წავკისისაკენ, სადაც მრავალი საზრუნავი და მოსიყვარულე შვილიშვილები ელიან.

მარიამის კეთილი და თავდადებული შრომა მრავალჯერ აღინიშნა მადლობებით, ფულადი ჯილდოებით თუ სხვა საჩუქრებით, მაგრამ მისთვის ყველაზე დიდი ჯილდო და საჩუქარი სიყვარული და პატივისცემაა მის მიმართ ოჯახშიც რომ გამოხატავენ და სამსახურშიც. სწორედ მარიამზე ითქმის: „იმკის სიყვარულს სიყვარულის წილ“.

**დორა კატუკია,**
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს თადარიგის მაიორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართველი ქირურგი ქალები დიდ სამამულო ომში

საქართველომ საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში 700 ათასი მებრძოლი გაგზავნა, რომელთაგან 16 ათასი ქალი იყო. 6 ათასი ექიმი და სხვა სამედიცინო პერსონალი უშუალოდ ფრონტებზე იმყოფებოდა. 300 ათასამდე ქართველი გმირულად დაიღუპა ომში, მათ შორის 138 ექიმი. სამამულო ომის ისტორიას სამუდამოდ შემორჩა ფრონტზე დაღუპული ახალგაზრდა მედიკოსების: გალინა ისაკაძის, ნანი კიკილაშვილის, მახანა ობოლაძის და სხვათა სახელები.

ძნელად მოიძებნება სამამულო ომის ისეთი ფრონტი, სადაც ქართველ ქირურგ ქალს თავისი წვლილი არ შეეტანოს. მათ უმაგალითო სიძნელეების გადალახვა უხდებოდათ, მაგრამ მაინც შესძლეს ათასობით მეომრისათვის აღმოეჩინათ დახმარება, შეენარჩუნებინათ სიცოცხლე, ეჩვენებინათ თბილი გული. რაოდენ ძნელია ზარბაზნების და ქვემეხების ქუხილში სიკვდილთან ჭიდილი, მაგრამ რა საამაყოა მოგონება გამარჯვებისა!

სამამულო ომის ისტორიაში სასახელო ფურცლები ჩაწერეს ჩვენმა სახელოვანმა ქართველმა ქირურგებმა: ელეონორა მესხმა, გალინა ჯაშმა, თამარ გოთუამ, თამარ ბიბილაშვილმა, ოლღა გველესიანმა, მარგალიტა ხეჩინაშვილმა, ვენერა ქოიავამ, მარიამ გრიგალაშვილმა, კლარა ხოჭოლავამ, თამარ მდივანმა, თინათინ გვანცელაძემ, მარიამ აფაქიძემ, მერი დოლონაძემ, ალექსანდრა მასხულიამ, აწ განსვენებულმა მარგალიტა ჯინჭარაძემ, დარია ცინცაძემ, ზინა მგელაძემ, სუსანა კუჭაიძემ და ბევრმა სხვამ, რომელთა გმირულ თავგანწირვაზე ბევრი რამ თქმულა და მომავალშიც ითქმება და დაიწერება. მოვიყვან ამ სასახელო ქალების ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდს.

ელეონორა მესხი ქერჩის სადესანტო ოპერაციის უშუალო მონაწილეა. სხვებთან ერთად ისიც ფეხით მიაბიჯებდა გაყინულ აზოვის ზღვაზე, როგორც უბრალო ჯარისკაცი და ქირურგი. ფრონტზე, მიწისქვეშ მოთავსებულ საოპერაციოში მუშაობისას ელეონორა ყუმბარის ნამსხვრევით დაიჭრა, შემდეგ კი, ევაკუაციის დროს, სხვა დაჭრილებთან ერთად, დაბომბვაში მოჰყვა, მიწაში ჩაიმარხა და მძიმე კონტუზია დაემართა. გამოჯანსაღების შემდეგ კვლავ ფრონტს დაუბრუნდა და საველე ჰოსპიტალში ქირურგად მუშაობდა. მძიმე დაჭრილთა გადასარჩენად რამდენჯერმე საკუთარი სისხლიც კი გაიღო. საინტერესოა მისი ერთ-ერთი ომისდროინდელი მოგონება. ერთ დღეს ქერჩის ჭისადგომთან შეუნიშნავს: მეომარი შემაღლებულ კლდეზე ფუნჯით სწრაფად წერდა: „სჯობს სიცოცხლესა ხამრახსა სიკვდილი სახელოვანი". იგი ქართველი მეომარი, მხატვარი თავაძე აღმოჩნდა.

ელეონორა მესხი ბევრჯერ მდგარა სიკვდილის პირისპირ. ოჯახმა მისი გმირულად დაღუპვის ცნობაც კი მიიღო. და რა სასიხარულოა, რომ ომგადახდილი ქართველი ქალი ჩინებული მეცნიერია და ნაყოფიერ პრაქტიკულ და მეცნიერულ მოღვაწეობას ეწევა.

მარგალიტა ხეჩინაშვილი და თამარ ბიბილაშვილი ყირიმის ფრონტისაკენ ერთად გაემგზავრნენ. ფეხით გადალახეს აზოვის გაყინული ზღვა და ქერჩამდე მიაღწიეს. მეტად მძიმე იყო მათი ცხოვრება. ისინი, მაშინ სრულიად ახალგაზრდები, ძალღონეს არ ზოგავდნენ დაჭრილთა დროული დახმარებისათვის. ერთ-ერთი თავდასხმის დროს თურმე მარგალიტა ხეჩინაშვილისგან ათი ნაბიჯის დაშორებით ტონიანი ბომბი ჩამოვარდნილა, მაგრამ, საბედნიეროდ არ გამსკდარა. მარგალიტას მეორედ დაბადებას ულოცავდნენ თანამებრძოლები.

ექიმი ოლღა გველესიანი დიდი გულისტკივილით იგონებს თავისი საბრძოლო ცხოვრების ერთ-ერთ ეპიზოდს. ყირიმის ფრონტზე მისთვის საოპერაციოდ მძიმე დაჭრილი მებრძოლი მიუყვანიათ. ის იყო ოპერაცია მთავრდებოდა, რომ მტრის ყუმბარამ მთელი შენობა შეაზანზარა და საოპერაციოში მყოფი რამდენიმე დაჭრილი ხელახლა დაიჭრა. ოლია გადაეფარა ახლად ნაოპერაციებ მებრძოლს. შემთხვევით ორივენი გადარჩნენ.

ბლოკადის მთელ პერიოდში ლენინგრადის გმირულ დამცველთა შორის თავი ისახელეს აწ განსვენებულებმა — მარგალიტა ჯინჭარაძემ და დარიკო ცინცაძემ. აღსანიშნავია, რომ ორივე ქირურგმა პირველი ნათლობა თეთრფინელებთან ომში მიიღო. მათ მეტად მძიმე პირობებში უხდებოდათ მუშაობა, საკუთარი სისხლიც კი ბევრჯერ გაუღიათ დაჭრილ მებრძოლთათვის. ორივენი გამარჯვებულნი, ორდენებით მკერდდამშვენებულნი დაუბრუნდნენ მშობლიურ მხარეს. დღეს ისინი ჩვენს შორის უკვე აღარ არიან, მაგრამ მათი გმირობა მარად უკვდავია.

1945 წლის 9 მაისს რაიხსტაგზე წითელი დროშა აფრიალდა. ჩვენი ქვეყნის სახელოვანმა შვილებმა, ქართველმა მანდილოსნებმა გალინა ჯაშმა, კლარა ხოჭოლავამ, ნ. ჩიხლაძემ, თამარ გოთუამ, ალექსანდრა მასხულიამ და სხვებმა ამ დღეს ბერლინში გამარჯვება იზეიმეს. რაიხსტაგზე მრავალთა შორის იკითხებოდა სამახსოვრო წარწერა: „გალინა ჯაში, თბილისიდან".

ზურგის ჰოსპიტლებში მეტად ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ჩვენი სახელოვანი მეცნიერი ქალი, პროფესორი დარია ბერეჟიანი. ეს პირველი დოქტორი დასტაქარი ქალი ჯერ კიდევ 1939 წელს თეთრფინელებთან ომში მოხალისედ წავიდა. სამამულო ომის პერიოდში 2000-მდე ოპერაცია გააკეთა. მის მკერდს ამშვენებდა ლენინის, შრომის წითელი დროშის, წითელი ვარსკვლავის ორდენები და მრავალი მედალი.

ჰოსპიტლებში დაუღალავ საქმიანობას ეწეოდნენ ქირურგები და განყოფილებათა გამგეები, პროფესორები ს. ბუაჩიძე, თ. ქვანია, თ. გიორგობიანი, მ. დადიანი, მ. უკლება, თ. სიხარულიძე, ნ. ჩომახიძე, თ. კაჭკაჭაშვილი, ე. ბაკურაძე, ალ. ბრედისი, მ. ვასაძე, ამ სტრიქონების ავტორი და სხვა მრავალი.

ასე რომ, ქალები ვალში არ არიან ვაჟკაცების წინაშე. ომის მრისხანე წლებში ქირურგი ქალები ფრონტზე თუ ზურგის ჰოსპიტლებში გუშაგებად იდგნენ საბჭოთა მეომრების ჯანმრთელობის სადარაჯოზე. დიდი სამამულო ომის ისტორია სათუთად შეინახავს ქირურგი ქალების ამ თავგანწირულ საქმიანობას.

თინა სირია,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14–15 აპრილი
ახლობლების გახსენების დღეა

# დედა



მხატვარი ნანა მესხიძე

ჩემო საყვარელო დედიკო, რომ იცოდე, როგორ მენატრები ხოლმე. ვერც კი წარმომედგინა უშენოდ ცხოვრება, მაგრამ ვცხოვრობთ...

მახსოვს, სულ პატარა გოგო ლექსს რომ გეუბნებოდი: „ყველაზე ლამაზო, ყველაზე ძვირფასო!..“ — მართლაც ყველაზე ძვირფასი ყოფილხარ, დედა, და ახლაც ასე მჯერა, — ყველაზე ლამაზიც.

ბევრი ალერსი ბავშვს აფუჭებსო, გამიგონია. არ არის ალბათ, სწორი. შენ სულ გვეფერებოდი, დედიკო, მაგრამ არ მახსოვს, თუნდაც ერთხელ არ დაგვეჯერებინოს შენთვის, გაგვეკეთებინოს ის, რაც შენ შეგაწუხებდა. ყველაფერზე უფრო კი ის მომწონდა შენი, რომ პატარებს თანატოლივით გვექცეოდი, ისე ჩაერეოდი ჩვენს გულუბრყვილო კამათში, ეჭვიც არასოდეს შეგვპარვია, რომ ამას ჩვენი გულისთვის აკეთებდი.

მიყვარდა შენი ხალისიანი საუბარი, საუცხოო იუმორის გრძნობა ხშირად, ძალიან ხშირად მენატრები.

მესიზმრები ხოლმე. მერე კი გაღვიძებისას უფრო მწყდება გული.

ვცდილობ და ვერ გიხსენებ თვალცრემლიანს. იცოდი განუკურნებელი სენი გჭირდა და სიცოცხლის ბოლო დღემდე ერთხელ არ დაგვნამია ხშირი წამწამები ცრემლით — ჩვენი თანდასწრებით. შენ ყველაფერი შეგეძლო აგეტანა ჩვენი გულისათვის.

ახლა უკვე მერვე კლასში ვარ. შენსავით მიყვარს კითხვა, ლექსები. გარეგნულადაც შევიცვალე — სულ შენა გგავარ. ბიჭებიც წამოიზარდნენ. ზოგჯერ ცელქობენ, ისე კი ყველაფერს მიჯერებენ. კარგად ვსწავლობთ. სამივე ფრიადოსნები ვართ. ო, როგორ გაგახარებდა შენ ეს!

მამაც გამოიცვალა, შენზე დარდმა გააჭაღარავა ორ წელიწადში.

ყოველ მასწავლებლის დღეს, ყოველ შენი დაბადების დღეს, ყოველ 8 მარტს ავდივარ შენს საფლავზე ყვავილებით ხელში, შინ დაბრუნებული ვაკეთებ ჩანაწერს შენზე, დედიკო. ვზივარ, ვწერ, გესაუბრები, ცრემლით ვასველებ ჩანაწერს და რაღაცნაირად უფრო დამშვიდებული ვარ შემდეგ დღეებში.

გაზეთებში წერენ, სკოლაშიც გვითხრეს, რომ აპრილის ყოველი მეორე შაბათ-კვირა დააწესეს მახლობლების, ნათესავების გახსენების დღედ. როცა კლასის ხელმძღვანელი გვესაუბრებოდა ამ საკითხზე, ვგრძნობდი, როგორ უჭირდა, რადგან კლასში მეც ვიჯექი. ხოლო სულ დაიბნა, როცა თვალზე ცრემლი შემნიშნა. განა არ ვიცი, რა დიდი და კეთილი გული აქვს მას, არც ტაქტი აკლია. მეც არ მინდოდა მისი ამ მდგომარეობაში ჩაყენება, მაგრამ დაუფიქრებლად გამახსენდა: 24 აპრილი ხომ შენი დაბადების დღეა, დედიკო!

ინგა ბაშარული,
ლენინგორის რაიონის სოფელ იკოთის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „თავს სინანული სჯობია...“

შარშან მაისის ნომერში გამოქვეყნებული წერილი ვინმე ხუთი შვილის დედისაგან, მოგვიანებით და დიდი გულისტკივილით წავიკითხეთ ოჯახში.

სადღაა დედაშვილობის უმაღლესი, უფაქიზესი გრძნობა, ნუთუ იგი დაჩრდილა ყოველდღიურობის პრაქტიკულმა მოსაზრებებმა?! რა ცოტა დრო გავიდა და როგორ უკიდურესად შეიცვალა, ჩვენი წარმოდგენები, ჩვენი ზნეობრივი და სულიერი სულისკვეთება! მტრის ურდოების შემოსევა იმდენ ზიანს ვერ მიაყენებდა ჩვენს ხალხსა და ქვეყანას, როგორსაც — აბორტის ასეთი მასიური გავრცელება. მტრის ურდოების შემოსევა დროებითი და წარმავალი იყო, აბორტი კი, ვითარცა სენი უკურნებელი, ხრავს და აკნინებს ერის სხეულს. გასაფურჩქნად ახლად გაღვიძებული საკუთარი კვირტის საკუთარი სხეულიდან მოგლეჯა და ნაგვის ორმოში გადაგდება, ნუთუ იოლი საქმეა?!

— ეს ხომ უდიდესი დანაშაული და მიუტევებელი ცოდვაა იმ ცოდვათა შორის, რომლებიც დედამიწაზე შეიძლება არსებობდეს. რა განსხვავებაა, ახლად გაღვიძებული სიცოცხლე ჯერ კიდევ მკერდის ქვეშ ფეთქავს, თუ უკვე მზის სინათლეზეა გამოსული?... რამდენიმე თვის შემდეგ იგი დედის მკერდს მიკრული ძუძუს უნდა სწოვდეს და სიამოვნებისაგან პაწია ხელებს უტყაპუნებდეს რა .არის ამაზე უდიდესი ბედნიერება — იცოცხლო და იცხოვრო არა უაზრო მოდისა და მიბაძვისათვის, არა სიმდიდრის მოპოვებისათვის, არამედ შთამომავლობის შენახვის: და გამრავლებისათვის.

სიცოცხლე-სიცოცხლისათვის! ეს არის ჩვენი მშობლის-დედაბუნების მარადისობის კანონი. თანამედროვე ცივილიზებული ადამიანები ძალიან დავშორდით ჩვენს შემქმნელს და აღმზრდელს — დედაბუნებას. ჩვენი ვალია კვლავ დავუახლოვდეთ მას, დავუახლოვოთ ამჯერად, როგორც ბუნების კარგი მცოდნენი (სხვა ცოდნასთან ერთად). გონებაგახსნილ, განათლებულ ადამიანს ბუნებისაგან განდგომა ძვირად უჯდება ცხოვრების ყველა სფეროში... აბორტი ძველადაც იყო ცნობილი, მას მუცლის მოშლას, მუცლის მოწყვეტას უწოდებდნენ. უვიცობის გამო ნაყოფთან ერთად ხშირად დედაც იღუპებოდა. ხალხი ამას უარყოფითად აფასებდა; ეკლესიაც სდევნიდა და ამიტომ მას იშვიათად მიმართავდნენ. ვერცხლს დახარბებულმა, დახელოვნებულმა, დიპლომიანმა ექიმებმა მწვანე ქუჩა გაუხსნეს აბორტს, უშიშარი და ყველასათვის ხელმისაწვდომი გახადეს იგი.

ვისაც სოფელში უცხოვრია, ძალიან კარგად იცის, რა ძლიერ აქვთ განვითარებული დედაშვილობის გრძნობა ცხოველებს, შინაურ, გარეულ პირუტყვსა თუ ფრინველს. ჩვენ, ადამიანებს რაღამ დაგვიჩლუნგა ეს დიდებული გრძნობა?! ამის დადასტურებაა ორშვილიანობის (როგორც წესი) დამკვიდრება. სხვანაირად რომ ვთქვათ შვილების დანორმვა. შვილები ხახვის კვალი ხომ არ არის, რომ ნათესი გავათხელოთ, გავამრავლოთ დარჩენილი მცენარეების სასარგებლოდ. რით შეიძლება თავი გავიმართლოთ? ეკონომიური პირობებით?

— ამაზე უკეთ ჩვენს ხალხს ჯერ არ უცხოვრია. თანამედროვე ცხოვრება ძველთან შედარებით დაუჯერებელი ზღაპარია. კარგად მახსოვს, ძველი დროის მშრომელი ხალხის სიდუხჭირე, რაც ხელს სულაც არ უშლიდა გამრავლებულიყო.

გამოდის, პირიქით, მისწრაფება უკეთესი ცხოვრებისაკენ ხელს უშლის მრავალშვილიანობას. ყველაფერი ბევრი და საუკეთესო გვინდა: ტანსაცმელი, ხელფასი, ბინა, ბინის მოწყობა-მოკაზმვა, ავტომანქანა, აგარაკი და სხვა სიკეთე, ხოლო შვილები — ცოტა, რაც შეიძლება ცოტა!

ამ ცოტა შვილს ვცდილობთ შევუქმნათ საუკეთესო პირობები სწავლისა და დაწინაურებისათვის, გამოვიყვანოთ მისგან სპორტსმენიც, მუსიკოსიც, ენების მცოდნეც, მათემატიკოსიც და სხვა. ანგარიშს არ ვუწევთ ბავშვის უნარს და მისწრაფებას, რის გამოც მიზანი სანახევროდ ან სრულიად მიუღწეველი რჩება.

სულ სხვა მდგომარეობაა მრავალშვილიან ოჯახში. აქ უფროს-უმცროსი და-ძმების გარემოცვაში ბავშვები ბევრ კარგ თვისებას იძენენ. პატარები დიდებისაგან სწავლობენ, დიდები სიყვარულით, რუდუნებით ეკიდებიან პატარებს, ეხმარებიან მშობლებს მათ აღზრდაში, საერთო საქმიანობაში და ცხოვრებისათვის უკეთ მომზადებულნი, შრომისმოყვარე და ბეჯითნი გამოდიან, ცდილობენ ცხოვრებაში თავისი საკუთარი ადგილი ადრევე დაიკავონ და მშობლების ხელში შემყურენი არ დარჩნენ. რაც შეეხება სწავლასა და პროფესიის დაუფლებას, იგი ბუნებრივად, ბავშვის უნარის, მიდრეკილების და მისწრაფების მიხედვით წარიმართება და შედეგიც უკეთესი მოსდევს. ცუდია. რომ მცირეშვილიანობის შედეგებს თავიდან არ ვითვალისწინებთ და იოლი გზით ცხოვრებას ვარჩევთ. აი შედეგიც, ახალგაზრდობა გაურბის შრომას და სოფელს. მშობლები ვრჩებით მარტონი, მიუსაფარნი, კარმიდამო მოუვლელი, კოლმეურნეობა თუ საბჭოთა მეურნეობა უმუშახელოდ, სოფელი შეთხელებული. ბევრი შვილის შემთხვევაში ერთი ან ერთი ნაწილი მაინც დარჩებოდა ოჯახში.

ბრძნული ნათქვამია „თავს სინანული სჯობია — ბოლოჟამს დანანებასა!“ ასეა თუ ისე, მცირეშვილიანობა ჩვენი ცხოვრების სამწუხარო, დაუძლეველ ხარვეზად რჩება.

სადაა გამოსავალი?

რა გზას დავადგეთ?

როგორ შევავსოთ შეთხელებული ოჯახები?

დ. სპარსიაშვილი

წინანდალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქსოვის მეორე გაკვეთილი

თუ აითვისეთ თვლების აკრეფა და წალმა-უკულმა მისი გამოქსოვა, უკვე შეგიძლიათ დაეუფლოთ სხვადასხვა სახის ნაყშის („უზორის“) ქსოვას.

წალმა და უკულმა ქსოვა გვაძლევს უამრავი სახეობის ნაქსოვის შექმნის შესაძლებლობას. თანდათან ვეცდებით, ყველაზე საინტერესო ნაყში შემოგთავაზოთ და ამავე დროს იმედი გვაქვს თქვენი გამომგონებლობისაც.

რომ გაგვიადვილდეს ნაყშების ჩაწერა, შემოვიღოთ პირობითი ნიშნები: წალმა ქსოვა აღვნიშნოთ — „1“, უკულმა კი — —.

წინდისებური ქსოვა: სურათი I და II):

პირველი და კენტი რიგის ყოველი თვალი გამოვქსოვოთ წალმა, მეორე და წყვილი რიგის ყოველი თვალი გამოვქსოვოთ უკულმა.

პირობითი ნიშნებით ეს ქსოვა შეიძლება ჩავწეროთ ასე: ნაქსოვი წალმა პირი: I რიგი 1 1 1 1 1 1 1 1 1 1

ნაქსოვი უკულმა პირი: II რიგი

— — — — — — — — — —

ამ ქსოვის დროს უნდა ავირჩიოთ რომელიმე წესი, წალმა და უკულმა პირველი წესით, ან წალმა და უკულმა მეორე წესით, (იხ. I გაკვეთილი).

## თავსაფრისებური ქსოვა

(სურათი III)

ყოველი რიგი იქსოვება წალმა ან ყოველი რიგი იქსოვება უკულმა.

I წესი

I რიგი 1 1 1 1 1 1

II რიგი 1 1 1 1 1 1

III რიგი 1 1 1 1 1 1 და ა. შ.

II წესი

I რიგი — — — — — —

II რიგი — — — — — —

III რიგი — — — — — —

და ა. შ.

ამ სახეობის ქსოვისას, ამჯობინებენ სულ უკულმა ქსოვას. წალმაც და უკულმაც აქ მეორე წესით (იხ. გაკვეთილი I) უნდა მოიქსოვოს. აქ ქსოვას ხშირად იყენებენ დეტალების მოსაქსოვად. (საყელო, სახელოს დამთავრება და სხვა).

სურათი IV

ჩვეულებრივი რეზინი: ამ ნაქსოვისათვის წალმა და უკულმა პირი ერთიდაიგივეა, ამიტომ, როგორც ხედავთ ისე უნდა მოვქსოვოთ I რიგი წალმა, უკულმა, წალმა, უკულმა და ა. შ.

II რიგი წალმაზე წალმა და უკულმაზე უკულმა და ა. შ.

1—1—1—1—1—1—1—1

1—1—1—1—1—1—1—1

1—1—1—1—1—1—1—1

თუ დაეუფლებით ამ სახეების ქსოვას, თქვენ შესძლებთ, მოქსოვოთ რაიმე სასარგებლო ნივთი, ვინაიდან ქსოვას მეტი ინტერესით და ხალისით მოეკიდებით. მაგალითად: ისეთი ყელსახვევი, შარფი, ქუდი და სადა მოსაცმელი, რომელიც თანამედროვე მოდას პასუხობს.

ზემოთ ჩამოთვლილი საგნების მოქსოვას დამთავრება სჭირდება და გთავაზობთ ერთ-ერთ წესს:

როდესაც მოქსოვთ საჭირო სიგრძის საგანს, ბოლო რიგის პირველ თვალს გადავიღებთ მარჯვენა ჩხირზე გამოუქსოვლად (სურათი V), მეორე თვალს გამოვქსოვთ (თუ წალმაა, წალმით, თუ უკულმაა, უკულმით სურათი VI) და მარცხენა ჩხირით პირველ თვალს გადმოვაცვამთ მეორეზე (სურათი VII) ისე რომ, მარჯვენაზე დაგვრჩება კვლავ ერთი თვალი, (სურათი VIII). ამავე წესით გამოვქსოვთ მანამ, სანამ არ დაგვრჩება ერთი თვალი, გავწყვიტავთ ძაფს და ბოლოს გამოვატარებთ ამ თვალში (სურათი IX).

## მოდით, მოვქსოვოთ ყელსახვევი:

(სურათი X)

სახე-რეზინი ან სულ წალმა.

სასურველია სქელი ძაფი, ჩხირები — № 2 ან № 3. სიგრძე-სიგანე თქვენზეა დამოკიდებული, როცა ქსოვას დაამთავრებთ, გაითვალისწინეთ რა სიგრძის ფოჩები გჭირდებათ. აიღეთ სქელი მუყაოს ან ფანერის ფოჩის სიგრძის მართკუთხა ნაჭერი (სურათი XI), დაახვიეთ ძაფი, შემდეგ ერთი მხრიდან დახვეული ძაფი გადაჭერით და



1



2



3



4

ეროვნული ბიბლიოთეკა


5


9


13


6


10


14


7


11


15


8


12

რა სისქის ფოჩიც შეესაბამება ნაქსოვს, იმდენი წვერი აიღეთ და მოკეცეთ ორად. აიღეთ ყაისნაღი (სურათი XII) გაუყარეთ ნაქსოვის ბოლო ერთერთ თვალში, გამოსდეთ შუაში ძაფს და გამოიღეთ (სურათი XIII), შემდეგ ორივე ბოლო მიღებულ თვალში გამოატარეთ (სურათი XIV) და მოჭიმეთ (სურათი XV). ნასკვი უნდა აღმოჩნდეს წაღმა მხარეს. ფოჩების დაცილება თანაბარი უნდა იყოს.

ქსოვის დროს ეცადეთ მოხერხებულად დაჯდეთ, მიაქციეთ ყურადღება განათებას, ნუ იქნებით დაძაბული და მოხრილი. შემჩნეულია, რომ ზოგიერთი ფერი, ძაფის ხარისხი, თვით ძაფი (ხელოვნური, „ბუკლე“) აღიზიანებს მქსოველს, მათი შერჩევა თქვენზეა დამოკიდებული. გახსოვდეთ, რომ ქსოვა სიამოვნებას უნდა გვგვრიდეთ, თუ ეს ასე არ არის, სჯობს სხვა რამ ხელგარჯილობას მიჰყოთ ხელი.

ლამარა ვეკუა



# რედაქციას უპასუხებენ

ჟურნალ „საქართველოს ქალში“ გამოქვეყნდა წერილი „გულთან მივიტანოთ ადამიანების სატკივარი“. წერილში აღნიშნული იყო, რომ ვაზისუბნის დასახლების მეორე მიკრორაიონის № 1 და № 2 კორპუსები სათანადოდ არ მარაგდება წყლით და მახარაძის ქუჩა № 12 საცხოვრებელი სახლის ეზოში წყალსადენის ქსელი დაზიანებულიაო.

თბილისის კომუნალური გაერთიანების საწარმოო სამმართველოს უფროსის მოადგილემ ი. ცარციძემ რედაქციას აცნობა, რომ „თბლწყალკანალის“ სამმართველომ რიგითი ტექნიკური ღონისძიებები განახორციელა. კერძოდ, სამგორის წყალსადენში აშენდა დამატებითი ფილტრები, რომლის სიმძლავრე წამში 500 ლიტრს აღემატება. ზემოაღნიშნულმა ღონისძიებამ საგრძნობლად გააუმჯობესა 26 კომისრის რაიონის, კერძოდ ვაზისუბნის დასახლების მეორე კორპუსის წყალმომარაგება.

მახარაძის ქუჩაზე № 12 სახლის ეზოში დაზიანებული წყლის მილები კალინინის წყალსადენის საექსპლოატაციო კანტორამ შეაკეთა. ქსელი ამორტიზებულია და „წყალკანალის“ სამმართველო საერთოდ არსებული ქსელის მთლიანად შეცვლას ითვალისწინებს.

„პლეხანოვის გამზირზე ტრანსპორტი კარგად მუშაობს, მაგრამ ვაკის მიმართულებით მხოლოდ № 40 ავტობუსი დადის, რომელიც ხშირად ფუჭდებაო, გვწერდნენ: მ. ჩიხლაძე, ვ. მედვედევა, ნ. ვართანოვი, თ. ბახტაძე.

ამ წერილის თაობაზე საქართველოს სსრ თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების უფროსის პირველმა მოადგილემ თ. ზედელაშვილმა გვიპასუხა: „შარშან პირველ სექტემბრამდე № 40 საავტობუსო მარშრუტს პირველი სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმო ემსახურებოდა, რომელიც ვერ უზრუნველყოფდა დაგეგმილი რაოდენობის ავტობუსების მარშრუტებზე გაშვებას, ამიტომ № 40 საავტობუსო მარშრუტის მომსახურება „ა/კ 2656-ს“ გადაეცა. აქ ავტობუსების რაოდენობა ერთი ერთეულით გაიზარდა და ამჟამად მარშრუტი კომპლექტდება გეგმიური რაოდენობის ავტობუსებით

რაც შეეხება პლეხანოვის გამზირიდან ვაკის მიმართულებით ახალი მიკროავტობუსების მარშრუტის დანიშვნას, სატრანსპორტო გაერთიანებას ეს მიზანშეწონილად არ მიაჩნია, რადგან მგზავრთა რაოდენობა მცირეა და № 40 ავტობუსი საკმარისია მათ გადასაყვანად.



## ლეონარდო და ვინჩი

### „მადონა ლიტა“

●

არც თუ ისე დიდი ზომის, კამერული ხასიათის ფერწერული სურათი — „მადონა ლიტა“ შეიქმნა დაახლოებით 1480 წელს.

იგი გამოირჩევა ლამაზი, სრულყოფილი კომპოზიციური გადაწყვეტით, რომელიც იმ წლებში მხოლოდ ლეონარდოსათვის იყო დამახასიათებელი. ფერწერული შესრულების ნაკლებ სრულყოფილი დონე კი განაპირობა ამ სურათზე მუშაობის დროს ლეონარდოს მოსწავლის — ამბროჯო დე პრედისის მონაწილეობამ.

ტილო შესრულებულია ტემპერით, სწორედ ამით აიხსნება ფერების შედარებით ზედმეტი ინტენსიურობა, რაც ლეონარდოს შემოქმედებისათვის არ იყო ნიშანდობლივი.

სურათზე გამოსახულია მშვენიერი მადონა, რომელსაც უდღობს სიხარულის ნათელი ადგას.

გთავაზობთ ფერწერულ ტილოს „მადონა ლიტა“.

გარეკანის პირველ გვერდზე: ელენე როტკევიჩი — „ნატურმორტი ტიტებით“, მეოთხეზე — ლეონარდო და ვინჩი — „მადონა ლიტა“

მთავარი რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი
Главный редактор МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია: გ. განძელაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. გურგენიძე, ლ. კაკაბაძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, ნ. ჟვანია, კ. ჟღენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ცაგარეიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, 380096 Тбилиси, Ленина, 14.
Адрес редакции: 380096. Тбилиси, Ленина, 14.

რედაქციის მისამართი—ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 7.02. 84 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.III. 84 წ. ქაღალდის ზომა 60×90¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.8.
Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 5.8. ტირაჟი 140.000. შეკვ. 321. უე 06450

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოდა







მხატვარი-მოდელიორი
ნ. გასკაკოვა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 30 კაპ.

ინდექსი 76178